ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 4 აგვისტო, 2011 №183 (5564) ფასი: 30 თეთრი

## მერმა მერსედესს ტანკით გადაუარა



გვ.11

# ზვიად ძიძიგური: „წუწუნს თავი დავანებოთ და სააკაშვილი არჩევნებით შევცვალოთ!“

მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებიდან, თანამდებობიდან კიდევ 30 წელი არ წავა. მას სურვილი აქვს, რომ კიდევ 30 წელი იყოს მმართველობაში. ქუთაისში პარლამენტის გადატანა ვინმეს არ ეგონოს, რომ ქუთაისელების სასიკეთოდ მიღებული გადაწყვეტილებაა.



## „ჩვენ არ გვინდა სინგაპური“

გვ.3





## „ბოლივია აფხაზეთის აღიარებას აპირებდა, მაგრამ ამერიკამ ფულით გააჩერა“

გვ.3



## საქართველოს ბიუჯეტი საპატიმროებით ივსება

გვ.4

საპროცესო გარიგებების რაოდენობა საეჭვოდ გაიზარდა



გვ.7



სად წავა პაატა დავითაია?

## ჯონდი ბაღათურია ვიცესპიკერობას უმიზნებს

## განათლების სამინისტრო 500-მდე სკოლის გაუქმებას აპირებს



გვ.6



## შაშიაშვილი: „აქციის დაშლის წინ პოლიციელის მკვლელობა ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა“

გვ.3

## რას ერჩის ხელისუფლება შოთა იამანიძეს

გვ.5





## „სააკაშვილო, ვაი, შენს პატრონს!“

გვ.4

## შამბა: „აფხაზეთს ევროპულ სახელმწიფოდ გადავაქცევ!“

გვ.3



## 3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

5 პატრიარქი: „ოჯახებს ფულის განკარგვაში დავეხმაროთ“

2 შსს და თავდაცვა ერთმანეთს დაექიდებიან

3 ხსოვნის კვირეული აგვისტოს ომში დაღუპულთა პატივსაცემად

5 სოფელ კალაურში მე-6 საუკუნის ეკლესია დაინგრა

# ზვიად ძიძიგური: „წუწუნს თავი დავანებოთ და სააკაშვილი არჩევნებით შევცვალოთ!“

## „ჩვენ არ გვინდა სინგაპური“





ნათია ხურცილავა

**„ეროვნული საბჭოს“ ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებს წყალგამყოფს უწოდებს. მისი თქმით, სწორედ არჩევნები გადაწყვეტს ჩვენი ქვეყნის მომავალ მიმართულებას. „ახალი თაობა“ ზვიად ძიძიგურს ესაუბრა.**

*— ზაფხული პოლიტიკურად მკვდარი სეზონია, მაგრამ ხელისუფლება ამ დროს საზოგადოებისთვის ხშირ შემთხვევაში მიუღებელ გადაწყვეტილებებს აპარებს. ამ ზაფხულს თქვენთვის რა იყო მიუღებელი გადაწყვეტილება?*

— ტელეანძის საკითხი სწორედ ამ საკითხთა ნუსხაშია. ხელისუფლება სრული კონტროლის დამყარებას აპირებს იმ მედიასაშუალებებზე, რომლებიც მისდამი არ არის ლოიალურად განწყობილი. ვნახავთ, როგორ შებოჭავს ეს გადაწყვეტილება ამ ტელევიზიებს. ეს არის პარალელური ნაბიჯი, რომელიც ხელისუფლებამ გადადგა მედიაკონტროლის მიმართულებით. ასევე რელიგიის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც საქართველოს ეკლესიასთან მიმართებით მიიღო ხელისუფლებამ. სპრინტერული ტემპებით, სასწრაფოდ, ეკლესიასთან შეუთანხმებლად და დაუკითხავად უნიტარისტული გადაწყვეტილება მიიღო. ამით ხელისუფლებამ მთელ საქართველოს დაანახვა, რომ მას შეუძლია ისევე აუქნიოს ხელი საპატრიარქოს, როგორც ხელი აუქნია ჟურნალისტებს ფოტორეპორტიორების საქმით, როგორც აუქნია ხელი მეცნიერებათა აკადემიას, ოპოზიციურ პარტიებს და მთელ ქართველ საზოგადოებას. სამარშრუტო ტაქსებზე ფასების გაძვირება, დენის კომუნალურ გადასახადზე ნაგვის გატანის გადასახადის მიბმა ზაფხულისთვის ჰქონდათ შემონახული. ჯერ კიდევ წინ არის აგვისტო და ვინ იცის, რა აქვთ ჩაფიქრებული.

*— მსგავს სიურპრიზებს კვლავ ელოდებით?*

— რა თქმა უნდა. სანამ მიხეილ სააკაშვილი იქნება ხელისუფლების სათავეში, ასეთი ტიპის უსიამოვნო სიურპრიზები საქართველოს მოსახლეობას არ მოაკლდება. ამ კაცს მთლიანად აქვს იმის განცდა, რომ ერთპიროვნული მმართველია. ის თავის თავს მუდმივად იუპიტერის მდგომარეობაში აყენებს, დანარჩენები ამ ქვეყანაში მხოლოდ მისი ნება-სურვილის აღმსრულებლები არიან. ასე წარმოუდგენია მას საქართველო.

*— თუმცა, პრეზიდენტ სააკაშვილს 2013 წელს პრეზიდენტობის ვადა ეწურება. ამბობენ, რომ მან შეცვალა პოზიცია და შეიძლება პოლიტიკური კარიერა დაასრულოს. ამის გჯერათ?*

— მიხეილ სააკაშვილი ხელისუფლებიდან, თანამდებობიდან კიდევ 30 წელი არ წავა. მას სურვილი აქვს, რომ კიდევ 30 წელი იყოს მმართველობაში. ქუთაისში პარლამენტის გადატანა ვინმეს არ ეგონოს, რომ ქუთაისელების სასიკეთოდ მიღებული გადაწყვეტილებაა.

*— რას გულისხმობთ?*

— ქუთაისში პარლამენტის გადატანა ნიშნავს იმას, რომ პრემიერ-მინისტრის და პრეზიდენტის ადგილსამყოფელი ორ ქალაქში იქნება გადანაწილებული. პრეზიდენტი, სავარაუდოდ, იქნება იქ, სადაც იქნება პარლამენტი, პრემიერ-მინისტრი კი იქ — სადაც მთავრობა.

*— ანუ თბილისში?*

— დიახ, თბილისში. სააკაშვილმა ის სასახლე, რომელსაც თავგამოდებით აშენებდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, სადაც შვიდციფრიანი ფულადი სახსრებია ჩადებული, არა მგონია, ასე ადვილად დათმოს. ახლა ყველაფერი პოლიტიკური სპექტრის გონიერებაზე არის დამოკიდებული. მის თანმიმდევრულობაზე. ზოგი ფიქრობს, რომ პოლიტიკური სპექტრი, ოპოზიცია ხმალამოღებული უნდა გამოვიდეს თეთრ ცხენზე ამხედრებული და მიხეილ სააკაშვილი დაამარცხოს. ეს ასე არ არის.

*— თქვენ როგორ უნდა დაამარცხოთ სააკავშილი?*

— საჭირო არის ნაბიჯ-ნაბიჯ, პოზიციური ბრძოლა. პოლიტიკური კოალიცია, რომელიც ჩვენ ჩამოვაყალიბეთ, ემზადება სწორედ ისეთი პოზიციური ბრძოლისთვის, რომელიც სააკაშვილს არ მისცემს შესაძლებლობას 2012 წლის არჩევნებში ის სქემა, რომელზეც მოგახსენეთ, გადააქციოს პოლიტიკურ რეალობად. არ უნდა დავუშვათ, რომ სააკაშვილი კიდევ იყოს ამ ქვეყნის მმართველობაში. თუ ჩვენ გვინდა, რომ ქვეყანა შედგეს, აუცილებლად უნდა მოხდეს არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა. ხელისუფლების შეცვლა განხორციელდება არა 2013 წელს, არამედ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნები, რაც კი ჩატარებულა საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. მთელი ქართველი საზოგადოება უნდა მოემზადოს ამ არჩევნებისთვის. არჩევნებს იგებს არა მილიონი ლარი, არამედ მილიონი ადამიანი. ეს არის ჩვენი პოლიტიკური კოალიციის მთავარი მიმართულება.

*— ბატონო ზვიად, თუ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა, კოალიციურად დაკომპლექტებულ უმრავლესობას მივიღებთ პარლამენტში, მაგრამ სხვა შემთხვევაში რა იქნება?*

— თუ ორი მესამედი ისევ შეინარჩუნა სააკაშვილმა საქართველოს პარლამენტში, პრეზიდენტი იქნება, მაგალითად, ფრიდონ თოდუა ან რუსუდან კერვალიშვილი, ანუ ისეთი ადამიანი, რომელიც ნომინალური პოლიტიკური ფიგურა იქნება და რომელიც არ იქნება იმ ფუნქციების განმახორციელებელი, რომლებიც მას კონსტიტუციით ექნება დაკისრებული. პრემიერ-მინისტრი იქნება სააკაშვილი და მთელი ძალაუფლება მას ექნება. ბუნებრივია, ამ პირობებში პოლიტიკურ ბალანსში ცვლილებები არ მოხდება. სასამართლო დარჩება ისევ ისეთი, მედიაზე ისევ ისეთი ზეწოლა იქნება, ხელისუფლების თავხედური ნაბიჯები სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში ისევ გაგრძელდება. ამიტომ ყველამ, ვინც თვლის, რომ ქვეყანა ჩიხში არის შესული, თავი უნდა დაანებოს წუწუნს, უკმაყოფილების გამოხატვას მეგობრებში და ოჯახის წევრებთან და არჩევნების წინ, როდესაც ხელისუფლება მოქრთამვის არნახულ კამპანიას დაიწყებს, პრინციპული პოზიცია შეინარჩუნოს. 2012 წლის არჩევნები ქართველი ხალხის ტესტი და გამოცდა იქნება. ხელისუფლებას უნდა სინგაპურის მიმართულებით წასვლა, რაც ჩვენ ხელს არ გვაძლევს.

*— სინგაპურს რას უწუნებთ?*

— სინგაპურში არის კანონები, რომლებიც მიმართულია ეროვნულობის, თვითმყოფადობის, ტრადიციების წინააღმდეგ. სინგაპური არ არის ის ქვეყანა, რომელიც ჩვენი იდეალი უნდა იყოს. სინგაპურის კანონებში პირდაპირ წერია, რომ ოპოზიციას პრემიერი ნიშნავს, რომ პოლიტიკაზე საუბარი პრესის საშუალებით არ შეიძლება, ფაქტობრივად, საბჭოთა კავშირია, მაგრამ ისეთი საბჭოთა კავშირი, სადაც მრავალსართულიანი სახლებია, ატრაქციონები, შადრევნები და ბევრი კონცერტი. ეს არის სააკაშვილისთვის იდეალური ქვეყანა, იქ ხელისუფლება 30 წელია, არ შეცვლილა და კიდევ 50 წელი ალბათ არ შეიცვლება. ამ ქვეყანას არაფერი აქვს საერთო იმ ქვეყანასთან, რომლის აშენებაც ჩვენ გვინდა. ხალხის გადასაწყვეტია, რა მიმართულებით წავალთ და ეს არჩევანი ხალხმა უნდა გააკეთოს. ჯერი ქართველ საზოგადოებაზეა.

## შსს და თავდაცვა ერთმანეთს დაეჭიდებიან

შსს-ს და თავდაცვის სამინისტროს ფალავნები ერთმანეთს ქართულ ჭიდაობაში შეეჯიბრებიან. ტურნირი არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართული საქმის“ ორგანიზებით, 6 აგვისტოს, 18:00 საათზე, ორხევში, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ პარკში დაიწყება.

ორთაბრძოლებში სულ 5 წონით კატეგორიაში მოასპარეზე 50-მდე ფალავანი მიიღებს მონაწილეობას; მათგან 15 გამარჯვებული გამოვლინდება, რომლებსაც თასები, დიპლომები და სხვადასხვა სახის ჯილდოები გადაეცემათ.

ამ სახის შეჯიბრი საქართველოში პირველად ტარდება და მიზნად ისახავს ქართული ჭიდაობის პოპულარიაზაციას.

**ინტერპრესნიუსი**

## ბათუმში რუსებიც ჩამოდიან



ბათუმში 1 და 2 აგვისტოს 28 535 ტურისტი შევიდა. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ინფორმაციით, მათგან 12.000-ზე მეტი უცხოელი ტურისტი იყო. აჭარაში ივლისში სულ 353.576 ტურისტი დაფიქსირდა, მათგან 130.000-ზე მეტი უცხოელი ტურისტი იყო.

უცხო ქვეყნებიდან აჭარაში შემოსული ტურისტების მხრივ თურქეთი პირველ ადგილზეა. მიმდინარე წლის იანვრიდან ივლისის ჩათვლით აჭარაში თურქეთიდან 50.000-ზე მეტი ტურისტი ჩავიდა. უცხო ქვეყნების სიის ლიდერთა სათავეში ასევე, აზერბაიჯანი, ირანი, ისრაელი, სომხეთი, უკრაინა არიან. ბათუმში ტურისტების მაჩვენებელი გაიზარდა, ასევე, აშშ-დან და დიდი ბრიტანეთიდან.

2010 წელთან შედარებით 74%-ით გაიზარდა რუსეთიდან შემოსული ტურისტების რიცხვიც.

**ინტერპრესნიუსი**



## სომხეთის ოპოზიცია ვადამდელ არჩევნებს ითხოვს

სომხეთის ოპოზიცია ქვეყანაში ვადამდელი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას მოითხოვს.

ერევანში მორიგი მასშტაბური საპროტესტო აქცია გაიმართა. დედაქალაქის ქუჩებში პრეზიდენტ სერჟ სარგსიანის მმართველობის წინააღმდეგ ათასობით ადამიანი გავიდა. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციებისგან შექმნილ კოალიციას, სახელწოდებით „სომხეთის ეროვნული კრება“, ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტი ლევონ ტერ-პეტროსიანი ხელმძღვანელობს.

კოალიციის მთავარი მიზანი სომხეთში თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნების ვადაზე ადრე ჩატარებაა. ოპოზიცია მორიგი საპროტესტო აქციის გამართვას ერევანში 9 სექტემბერს გეგმავს. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები კი ქვეყანაში 2012 წლის მაისში და 2013 წლის თებერვალშია დაგეგმილი.

**პირველი**

## ბურჯანაძე: ჩვენი დაპატიმრებული მომხრეები წითელმა ჯვარმა გადაარჩინა



„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარე და „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი ნინო ბურჯანაძე წითელ ჯვარს მადლობას უხდის.

ბურჯანაძემ მადლობის წერილი საქართველოში წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგაცის ხელმძღვანელ არიანე ტომბეს გაუგზავნა, იმისთვის, რომ წითელი ჯვრის წარმომადგენლები რეგულარულად ნახულობდნენ 2011 წლის 26 მაისს და შემდგომ დღეებში დაკავებულ ასობით პირს, რომლებიც დამამცირებელ და საშინელ პირობებში იმყოფებოდნენ დროებითი მოთავსების იზოლატორებში.

როგორც იზოლატორებიდან გამოსული დემოკრატიული მოძრაობისა და სახალხო კრების მხარდამჭერები აცხადებენ, წითელი ჯვრის წარმომადგენლების ვიზიტები და მხარდაჭერა მათ მარტო არ ტოვებდა კრიმინალური რეჟიმის წინაშე და მომავლის იმედსა და რწმენას აძლევდა.

წერილის ასლი გაიგზავნა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ცენტრალურ ოფისშიც.

**პრაიმ-ნიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# შამბა: აფხაზეთს ევროპულ სახელმწიფოდ გადავაქცევ!



აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტობის კანდიდატი სერგეი შამბა, თავის გუნდთან ერთად, შეეცდება, აფხაზეთი ევროპულ, განვითარებულ ქვეყნად აქციოს. „აფსნი პრესის“ ცნობით, ამის შესახებ შამბამ ამომრჩევლებთან შეხვედრისას განაცხადა.

მისი თქმით, მთავრობის თავმჯდომარეობის პერიოდში აფხაზეთის ათწლიანი განვითარების პროგრამა შეიმუშავა, რისთვისაც იტალიელი და ებრაელი სპეციალისტები ჰყავდა მოწვეული. მისი თქმით, როდესაც ესმის საუბარი, რომ აფხაზეთში სურთ წესრიგი დაამყარონ, ეს ძალიან აშფოთებს, რადგან მიაჩნია, რომ სიტყვა „წესრიგი“ ევროპულ ცნობიერებაში ასოცირდება გერმანულ ფაშიზმთან და საბჭოთა სტალინიზმთან.

— ჩვენ გვეუბნებიან, რომ საჭირო არ არის ევროპული დემოკრატია, რომ ჩვენ ყველაზე დემოკრატიულები ვართ. თუმცა, ეს ასე არ არის. უნდა აღვადგინოთ ჩვენი ტრადიციული კულტურა „აფსუარა“ და, ამასთან, თანამედროვე ტენდენციების იგნორირებაც არ უნდა მოხდეს, — განაცხადა შამბამ.

აფხაზეთში ე.წ. საპრეზედინტო არჩევნები 26 აგვისტოსაა დაგეგმილი.

**ინტერპრესნიუსი**

# ხსოვნის კვირეული აგვისტოს ომში დაღუპულთა პატივსაცემად

აგვისტოს ომში დაღუპულთა პატივსაცემად, მომავალი კვირიდან საქართველოში ხსოვნის კვირეული დაიწყება.

7 აგვისტოდან ყველა მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა, ხსოვნის სიმბოლოდ წითელ ყაყაჩოების და ყაყაჩოს გამოსახულებიანი მაისურები ატაროს, რომლებიც „ბიბლუსის“ მაღაზიებსა და ჰიპერმარკეტ „გუდვილში“ სიმბოლურ ფასად გაიყიდება.

აქცია გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ ინიციატივით ხორციელდება. ინიციატორთა ინფორმაციით, შემოსული თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება.

ხსოვნის კვირეულში ამ დროისთვის 20-მდე კერძო კომპანია და სახელმწიფო დაწესებულება ჩართული.

**ინტერპრესნიუსი**

# ობამა: პუტინი ამერიკა-რუსეთს შორის „გადატვირთვას“ სრულად უჭერს მხარს



ამერიკის პრეზიდენტი ბარაქ ობამა რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს მყარ პარტნიორად მიიჩნევს, ხოლო პრემიერ პუტინს — ამერიკა-რუსეთს შორის „გადატვირთვის“ მომხრედ.

როგორც ობამამ სააგენტო იტარ-ტასთან ექსკლუზიურ ინტერვიუში განაცხადა, იგი რუსი პარტნიორების ასეთ მიდგომაში ორმხრივი ურთიერთობების სამომავლო განვითარების დადებით ტენდენციებს ხედავს.

— დიმიტრი მედვედევი რუსეთის ინტერესებს გაშმაგებით იცავს, მაგრამ, ამავდროულად, აღიარებს, რომ ქვეყნის განვითარების გზა გარე სამყაროსთან როგორც ორმხრივი, ისე მრავალხმრივი ურთიერთობების განვითარებაზე გადის, — განაცხადა ობამამ რუს კოლეგაზე საუბრისას.

რაც შეეხება პრემიერ პუტინს, როგორც ამერიკის პირველმა პირმა აღნიშნა, პუტინი სრულად უჭერს მხარს „გადატვირთვის“ პროცესს, რის შედეგადაც ბოლო ორი წლის განმავლობაში რუსეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. ამასთან, როგორც ობამამ აღნიშნა, სამომავლოდ რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების განვითარებაში გადამწყვეტ როლს ეკონომიკური თანამშრომლობა შეასრულებს.

**პირველი**

# „ბოლივია აფხაზეთის აღიარებას აპირებდა, მაგრამ ამერიკამ ფულით გააჩერა“

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამხრეთ ამერიკაში სიარულს მოუხშირა. ჯერ კოსტა-რიკის პრეზიდენტის ინაუგურაციას დაესწრო, ცოტა ხნის წინ კი პერუს ეწვია იგივე მიზეზით. ოპოზიცია პრეზიდენტის სამხრეთამერიკულ ვოიაჟებზე შაყირობს. არადა, არც მთლად სახუმაროდ არის საქმე. ექსპერტი მამუკა არეშიძე მიიჩნევს, რომ ასეთი ვოიაჟების უკან ამერიკა დგას, რომელიც ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება არ მოხდეს.**

**აპირებდა თუ არა პერუ აფხაზეთის აღიარებას, ვინ ჩააწყო კუბაში გრიგოლ ვაშაძის ვიზიტი, რას და ვისგან ყიდულობენ რუსეთი და ამერიკა, ამის შესახებ მამუკა არეშიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.**



თეა მარხვაი ე

***— როგორც ამბობენ, ცოტა ხნის წინ პერუ აფხაზეთის აღიარებას აპირებდა. ამერიკის ჩარევის შედეგად ეს აღარ მოხდა. სააკაშვილი კი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე იმისთვის ჩავიდა, რომ ერთიანი საქართველოს პრეზიდენტად დაფიქსირებულიყო.***

— არა, პერუ აფხაზეთის აღიარებას არ აპირებდა. მიხეილ სააკაშვილი იქ მადლობის სათქმელად ნამდვილად არ ჩასულა. ამასთან, ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა ჩვენი პრეზიდენტი ლათინურ ამერიკაში ჩადის. შემთხვევით არ ჩასულა გრიგოლ ვაშაძე კუბაში. აშკარაა, რომ ჩვენი ხელისუფლება ცდილობს, რაც შეიძლება მყარად მოიკიდოს ფეხი ლათინურ ამერიკაში. ეს იმისთვის კეთდება, რომ ცხინვალისა და სოხუმის აღიარება არ მოხდეს.

***— სააკაშვილის ეს ვიზიტი ზოგიერთმა საქილიკოდ გამოიყენა. გამოდის, რომ რაღაცნაირად მაინც მისასალმებელი ყოფილა ეს ვიზიტი?***

— თუ ამ კუთხით შევხედავთ, მისასალმებელია. და თუ ეს საქმეს რამენაირად წაადგება, მივესალმოთ.

***— გრიგოლ ვაშაძის კუბაში ჩასვლაც ამავე მიზანს უკავშირდებოდა? იყო საუბრები, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარებას ჰავანაც აპირებდა.***

— ვაშაძე კუბაში ადგილობრივ ლიდერებთან შესახვედრად არ ჩასულა. იქ იმართებოდა რეგიონალური შეკრება. ამ შეხვედრაში მიიღო ვაშაძემ მონაწილეობა. ასეთ შეხვედრებში ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ამერიკის რეკომენდაციით მონაწილეობენ. ამერიკა ცდილობს, საქართველომ ლათინური ამერიკის მიმართულებით იაქტიუროს. ამ მიზნით მოხდა სააკაშვილის ჩასვლა კოსტა-რიკაში და პერუში. ის პრეზიდენტების ინაუგურაციას დაესწრო და ამით მათ მიმართ მხარდაჭერა დააფიქსირა.

***— ზემოთ ვისაუბრეთ, რომ პრეზიდენტის ასეთი ვიზიტები ლათინურ ამერიკაში მისასალმებელია. რამდენად იქნება ეს შედეგიანი და რამდენად გვაქვს იმის გარანტია, რომ ისინი სოხუმს და ცხინვალს არ აღიარებენ? ეს იმ ფონზე, როცა რუსეთი აღიარების მიმართულებით აქტიურად მუშაობს.***

— შედეგები ამ ეტაპისთვის არის. ამ ქვეყნებს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არ უღიარებიათ, რაც თავისთავად უკვე შედეგია. ოღონდ ეს მარტო ჩვენი ხელისუფლების დამსახურება არ არის.

***— ვისი დამსახურებაა კიდევ?***

— ამერიკის. ისინი ამ მიმართულებით ძალიან ბევრს მუშაობენ. როგორც ჩემთვის ცნობილია, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის აღიარებას აპირებდა ბოლივია. ეს საკითხი დღის წესრიგში ძალიან სერიოზულად იდგა. ამერიკელების ენერგიული ჩარევის შედეგად, ბოლივიელებმა ეს გადაწყვეტილება შეცვალეს.

***— როგორ შეაცვლევინა ამერიკამ მათ ეს გადაწყვეტილება?***

— ამის სანაცვლოდ ბოლივიელებმა ამერიკისგან სამხედრო ამუნიცია მიიღეს.

***— გამოდის, ამერიკა ყიდულობს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის არაღიარებას.***

— ეს ასეა, ამერიკა ქვეყნებს რაღაცას აძლევს იმისთვის, რომ მათ რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონები არ აღიარონ. რუსეთი იქცევა პირიქით, ისინი სერიოზულ ფულს იხდიან აღიარებაში.

***— აღიარება-არაღიარებაში ფულის გადახდა როდემდე უნდა გაგრძელდეს?***

— მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როდემდე შეიძლება გაგრძელდეს ეს ყველაფერი. დღეს ჩვენ ამ მოვლენების მიღმა ვართ დარჩენილი. დღეს საქართველო თავის მეგობარ ქვეყნებს შეჰყურებს ხელში, ელოდება, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ისინი. ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნება მათი ნაბიჯები. შესაბამისად, არც ის ვიცით, როდემდე გაგრძელდება აღიარება-არაღიარებაში ფულის გადახდა. იმ კონფლიქტების დარეგულირებაში, რომლებიც ჩვენ გვეხება, პასიურად ვართ ჩართულები.

***— ასეთი პასიური პოზიცია ქვეყანას რაში არგია?***

— არაფერში. შეიძლება ეს ხელისუფლებას აწყობს, არ ვიცი. ვიცი ის, რომ ასეთი პასიური პოზიცია ქვეყანას არ აწყობს. დაკარგულ ტერიტორიებს ასე ვერ დავიბრუნებთ. ასეთ სტაგნაციას რომ ვხედავ, იმიტომ დავაფიქსირე ჩემი პოზიცია აფხაზეთთან დაკავშირებით.

***— მის შესაძლო აღიარებაზე ამიტომ ალაპარაკდით?***

— მე დავინახე, რომ ამ მიმართულებით არის სტაგნაცია. რომელიც ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. მე არ მომითხოვია აფხაზეთის აღიარება. ვთქვი, რომ ამ თემაზე დაიწყოს მოლაპარაკება. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ არ მითქვამს, რომ აფხაზეთი ვაღიაროთ. ვთქვი, ამ თემაზე შეიძლება მოლაპარაკებების დაწყება. შექმნილი ვითარებიდან მე ასეთი გამოსავალი დავინახე და პოზიცია ღიად დავაფიქსირე.

***— თქვენ პოზიცია საზოგადოებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ამის გამო კინაღამ ჩაგქოლეს.***

— კინაღამ კი არა, მართლა ჩამქოლეს, ისეთი რამეები თქვეს ჩემზე. თუმცა, ეს ჩემთვის მთავარი არ არის. მთავარი ისაა, რომ ქვეყანა დღეს ჭაობშია. ამ ჭაობიდან ამოსვლა არც საზოგადოების ნაწილს სურს და არც — ხელისუფლებას. სხვისი ხელების შემყურე არიან და ელოდებიან, რომ მათ გასაკეთებელს სხვა გააკეთებს. ამერიკა დღეს აკეთებს რაღაცას, მაგრამ ეს ყველაფერი მაინც ჩვენი მოსაგვარებელია. ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს, როგორც ჩანს, ჭაობში ყოფნა ურჩევნია. ასეთ საზოგადოებას მომავალი არ აქვს.

# შაშიაშვილი: „აქციის დაშლის წინ პოლიციელის მკვლელობა ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა“

**„თეთრების“ ლიდერისა და „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრ თემურ შაშიაშვილის მტკიცებით, რაც დრო გადის, მეტად დასტურდება, რომ 26 მაისის შეკრების დაშლის წინ პოლიციელის მკვლელობა ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა.**



— 26 მაისს სისხლიანი სადამსჯელო სპეცოპერაციის დაწყებამდე ხელისუფლებამ გაავრცელა ინფორმაცია ბურჯანაძის კორტეჟის მიერ პოლიციელის მკვლელობის თაობაზე. ამ ინფორმაციამ სადამსჯელო სპეცოპერაციის მონაწილეებში ისეთი ეგზალტირება გამოიწვია, რომ თავიანთ თანამემამულეებს წარმოუდგენელი სისასტიკით ექცეოდნენ. დრომ შეიძლება, დაადასტუროს, რომ ხელისუფლებამ გაწირა პოლიციელი იმისათვის, რომ მოეხდინა სახალხო კრების და მის ლიდერთა დისკრედიტაცია — გაიქცნენ, ხალხი მიატოვეს, პოლიციელიც მოკლეს. გაეძლიერებინათ სისასტიკე სპეცრაზმელებში, რომ მათ დაუნდობლად ეცემათ მიტინგის მონაწილეები; ხელისუფლებასაც და სპეცრაზმელებსაც თავიანთი სისასტიკე გაემართლებინათ. ზუსტად ასე გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ 1989 წლის 9 აპრილთან დაკავშირებით. მთელი საბჭოთა პროპაგანდა იმაზე იყო აგებული, რათა ხალხისთვის და უცხოეთისთვის დაემტკიცებინათ, რომ 9 აპრილის მიტინგი არასანქცირებული იყო. საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ „სახალხო კრების“ წინააღმდეგ ზუსტად ისეთივე მოდელი გამოიყენა, როგორიც საბჭოთა ხელისუფლებამ, — აცხადებს შაშიაშვილი.

მისივე მტკიცებით, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, ბურჯანაძის კორტეჟის მანქანების რაიმესთან და ვინმესთან შეჯახება გამოირიცხა.

— მხოლოდ ის დასკვნაა ხელისუფლებისთვის სწორი, რომელიც მის პოზიციას გამოხატავს და არა ის, რომელიც რეალობას ასახავს, მაგრამ ხელისუფლების პოზიციას არ გამოხატავს. გამოდის, რომ ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა არასწორია და სწორია ის, რასაც ვანო მერაბიშვილი ამბობს: ზურაბ ჟვანია გარდაიცვალა გაზისგან გაგუდვით, პოლიციელი მოკლა ბურჯანაძის კორტეჟმა და ა.შ მთელი სახელისუფლებო სისტემა მუშაობს იმაზე, რომ დაადასტუროს ის, რაც თქვა მერაბიშვილმა, რომ მისი ნათქვამი არის ერთადერთი ჭეშმარიტება, რადგან მას თვით სააკაშვილი იზიარებს. სახალხო კრების აღმასრულებელი საბჭოს პოზიცია ურყევია — 26 მაისის დარბევა საერთაშორისო სასამართლომდე უნდა მივიდეს. სწორედ საერთაშორისო სასამართლომ უნდა გააკეთოს 26 მაისის სამართლებრივი შეფასება. საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც ყველამ უნდა გაიგოს სიმართლე, გაიგოს, სინამდვილეში რამდენი დაიღუპა სპეცოპერაციის დროს, რა პირობებში დაიღუპნენ ადამიანები, როგორ აწამეს ხალხი, რისთვის დაიჭირეს ადამიანები და რა ბრალდებებით. დარწმუნებული ვარ, მოვა დრო, როცა ცნობილი გახდება ამ ხელისუფლების მიერ ჩადენილი სისასტიკე და დანაშაულობები, როცა ბევრ დღევანდელ მის მხარდამჭერს შერცხვება იმის, თუ ვის ედგა გვერდით და ვის უჭერდა მხარს, — აცხადებს „თეთრების“ ლიდერი.

**პირველი**

# საქართველოს ბიუჯეტი საპატიმროებით ივსება

## საპროცესო გარიგებების რაოდენობა საეჭვოდ გაიზარდა

შორენა კოწოწაშვილი



არის თუ არა პატიმართა რეაბილიტირებისთვის გადადგმული ნაბიჯი გრძელვადიანი პაემნები და რამდენად მძიმეა ზაფხულში, მაღალი სიცხეების ფონზე ციხეებში მდგომარეობა? — ამ საკითხების ირგვლივ გავესაუბრეთ ლალი აფციაურს.

*— ქალბატონო ლალი, რა დადებითი ნაბიჯები გადაიდგა სასჯელაღსრულების სისტემაში იმ რეფორმების ფონზე, რომელთაც ხელისუფლება აქტიურად აპიარებს?*

— მე არ ვიცი, როგორია ნაცემი, ნაწამები, სულში ჩაფურთხებული და თავმოყვარეობაშელახული ადამიანის რეაბილიტაცია ერთსაათიანი ან 24-საათიანი პირადი პაემნით. ერთი რამ შეიძლება პირდაპირ ითქვას, ციხეებში უმძიმესი მდგომარეობაა. მით უმეტეს, ზაფხულია და კარგად იცით, რა მდგომარეობაა საპატიმროებში — გაუსაძლისი პირობებია. საგამოძიებო ოთახში, სადაც ადვოკატი და პატიმარი ხვდებიან ერთმანეთს, ადვოკატი და გამომძიებელი ხვდებიან ერთმანეთს, ხუთ წუთზე მეტს ვერ გაჩერდები. ზაფხულში ციხეებში მართლაც საშინელი სიტუაციაა. წამება და არაადამიანური მოპყრობა გრძელდება. ადგილი აქვს შანტაჟს, მუქარას, ცემას და ათას უბედურებას.

*— დღეისთვის ციხეებში შექმნილი ვითარება მინისტრ ხათუნა კალმახელიძის პასუხისმგებლობას გამოკვეთს?*

— რა თქმა უნდა. პატიმრების რაოდენობა ქვეყანაში 45-დან 48.000-მდე მერყეობს. ხელისუფლებას მინიმუმ 45-48 ათასი მოწმე ჰყავს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებებისა. დადგება დრო და ეს ადამიანები მოწმის სტატუსით დაიკითხებიან ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ანუ ამ ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტების ირგვლივ.

*— გაიზარდა საპროცესო შეთანხმებების რაოდენობა. რა ტენდენციაა ამ კუთხით და შეცვალა თუ არა პროკურატურამ ამ მხრივ მუშაობის ტაქტიკა? თანხების შემცირების ტენდენცია ხომ არ იკვეთება?*

— არა. თანხები ძალიან სერიოზულია. აქტიური კი არა, ფაქტობრივად, სხვა თემაზე საუბარი აღარც არის. 99% ჩემი კოლეგებისა აქტიურად მუშაობენ იმ მხრივ, რომ დაარწმუნონ უდანაშაულო ადამიანი, რომ ბრალი აღიაროს, რადგან სხვა შემთხვევაში ისინი ბრძოლით ვერაფერს მიაღწევენ. ამიტომ სისხლის სამართლის საქმეების 99% მთავრდება საპროცესო გარიგებით, უკანონო საპროცესო აქტებით. იმიტომ, რომ როდესაც უდანაშაულო ადამიანს ეუბნები, ტყუილად იბრძვი, სიმართლეს მაინც ვერ მიაღწევ, ჯობია, დანაშაული აღიარო და საპროცესოთი გარეთ გამოხვიდე, ეს არის ყველაზე დიდი დანაშაული. მაგრამ ხელისუფლება ამ დანაშაულზე დღეს შეგნებულად მიდის. იმიტომ, რომ დღეს საქართველოს ბიუჯეტი ივსება საპატიმროებიდან.

# „სააკაშვილო, ვაი, შენს პატრონს!“



„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერ მამუკა კაციტაძის განცხადებით, ბათუმში ბოლო დროს გახშირებული კონცერტები მსოფლიო შოუ-ბიზნესის ცნობილი ვარსკვალევის მონაწილეობით საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პიარით გაჯერებული ცხოვრების ერთ-ერთი გამოხატულებაა.

როგორც კაციტაძემ „მედიანიუსს“ განუცხადა, ეს კონცერტები და ხელისუფლების მიერ ორგანიზებული ტაშ-ფანდურა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მიხეილ სააკაშვილი ქვეყანაში შექმნილ ვითარებას ადეკვატურად ვერ აფასებს. ენრიკე იგლესიასის და სტინგის ბათუმში კონცერტები, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი და “ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, ამ პოლიტიკური ძალის წინასაარჩევნო კამპანიის ნაადრევი დასაწყისი არ არის, რადგან ხელისუფლებას როგორც საარჩევნო, ისე არასაარჩევნო წლებშიც ემღერება.

— ვერ ვიტყვი რომ ბათუმში გამართული კონცერტები ერთმნიშვნელოვნად „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიას ჰგავს იმიტომ, რომ კონცერტი იყო ერთი წლის წინაც და ორი წლის წინაც, მოკლედ, საარჩევნო წელსაც ემღერება სააკაშვილს და „ნაციონალურ მოძრაობას“ და არასაარჩევნო წელსაც. ასე რომ, ეს უფრო ზოგადი დამოკიდებულებაა ამ პროცესისადმი, თითქოს საქართველოს ცნობადობის გაზრდის ერთგვარ მეთოდად გამოძებნა სააკაშვილმა ბათუმში ამ კონცერტების ჩატარება და მუდმივად არის ამ ტაშ-ფანდურულ განწყობაზე, მაგრამ რამდენად ეკონცერტება ჩვენს მოსახლეობას, ურთულეს სოციალურ მდგომარეობაში მყოფს და რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის ეს კონცერტები, მათ შორის ბათუმი თავისი განაშენიანებით, ან თუ გნებავთ, სიღნაღი და მესტია, ეს კიდევ მეორე პრობლემაა. არ შეიძლება, რომ ფიქრობდე მოსახლეობის 3-4 პროცენტზე, გარე დამოკიდებულებაზე შენი ქვეყნის მიმართ და არ ფიქრობდე დანარჩენ 96- 97 პროცენტზე და შიდა განწყობებზე ამ ყველაფრის მიმართ. ამიტომ, აღქმადობის თვალსაზრისით გეტყვით, რომ ხელისუფლების ეს კამპანია სცილდება საარჩევნო თემატიკას, თუმცა სადღაც სიღრმეში მასაც გულისხმობს. ეს დამოკიდებულება ნეგატიურია არა იმიტომ, რომ ქვეყანაში გლოვა უნდა იყოს გამოცხადებული და არავინ ცეკვავდეს, უბრალოდ, ეს არის სააკაშვილის მხრიდან არაადეკვატური აღქმა შექმნილი მდგომარეობისა. ეს არის სააკაშვილის პიარით გაჯერებული ცხოვრების ერთ-ერთი გამოხატულება. აქვე მინდა ერთი რაღაც ვთქვა: სანამ სააკაშვილი ამ განცხადების გამო თვითონ მიპასუხებდეს თავის გამოსვლაში, მე მინდა წინასწარ ვუთხრა, „მართლა ვაი, შენს პატრონს, რომ ასე უყურებ შექმნილ სიტუაციას“. მე პოლიტიკოსი ვარ და შეიძლება რაღაცა მითხრას, არ გამიკვირდება, მაგრამ არ შეიძლება, რომ კრიტიკულად მოაზროვნე ჟურნალისტის შეფასებაზე იმდენად გაბრაზდე, რომ მას ასე მიმართო, — განაცხადა კაციტაძემ და დასძინა, რომ ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სააკაშვილი ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას, ადეკვატურად ვერ აღიქვამს.

**მედიანიუსი**

# ახალგაზრდა მეცნიერები სტაჟირებას გაივლიან

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ახალგაზრდა მეცნიერებს უცხოეთში სამეცნიერო-კვლევით სტაჟირებას დაუფინანსებს.**

შესაბამისი საგრანტო კონკურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ და სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა გამოაცხადეს.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, პროექტის მიზანია დაეხმაროს ახალგაზრდა მეცნიერებს უცხოეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში პროფესიული გამოცდილების შეძენასა და საერთაშორისო საქმიანი კონტაქტების დამყარებაში, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მკვლევართა კვალიფიკაციის ამაღლებას.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია 40 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეს, რომელიც არის დოქტორი, დოქტორანტი ან რეზიდენტი და ფლობს ინგლისურ ან იმ ქვეყნის ენას, სადაც გეგმავს სტაჟირების გავლას. უცხოეთში სტაჟირებას სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი 15 ათასი ლარით დააფინანსებს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა ელექტრონული რეგისტრაცია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ოფიციალურ ვებ-გვერდზე დღეს დაიწყო და 2 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

ანალოგიური კონკურსი წელს მესამედ იმართება. ამ კონკურსის ფარგლებში მხოლოდ გასულ წელს საზღვარგარეთის წამყვან კვლევით დაწესებულებებში სამეცნიერო სტაჟირება 16-მა ახალგაზრდა მეცნიერმა გაიარა, მათ შორის რამდენიმე უცხოელი პარტნიორების ინიციატივით, დღემდე აგრძელებს მუშაობას იმავე ორგანიზაციებში.

ასეთი კონკურსები საშუალებას იძლევა ახალგაზრდა მკვლევარები საერთაშორისო სამეცნიერო ცხოვრებაში ჩაერთონ და მაღალკვალიფიციური სპეციალისტები გახდნენ.

**მედიანიუსი**

# წლიური ინფლაცია ივლისში 8.5%-მდე შემცირდა



ივლისში წლიური ინფლაციის დონე წინა თვეში დაფიქსირებული 10% დან 8.5% მდე შემცირდა.

„საქსტატის“ მონაცემებით, ინფლაციის დონის შემცირებაზე გავლენა იქონია სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე, ივნისთან შედარებით, ფასების 5.1%-ით შემცირებამ. ამ ჯგუფში ფასები მნიშვნელოვნად შემცირდა: ბოსტნეულის, ბაღჩეულის, კარტოფილისა და სხვა ბოლქოვანების ქვეჯგუფზე — 23.3%-ით, ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფზე — 16.3%-ით, თუმცა ფასები გაიზარდა შაქარსა და ტკბილეულობაზე — 4.9%-ით.

წინა თვესთან შედარებით ფასები 7.4%-ით გაიზარდა ასევე ტრანსპორტზე, რომლის წვლილმაც ინფლაციის საერთო მაჩვენებელში 0.77 პროცენტული პუნქტი შეადგინა. აღნიშნული, „საქსტატის“ განცხადებით, განაპირობა ფასების 18.4%-ით ზრდამ ავტობუსით და მიკროავტობუსით მგზავრობაზე.

რაც შეეხება წლიურ ინფლაციას, „საქსტატის“ მონაცემებით, წინა წლის ივლისთან შედარებით, ყველაზე მეტად ფასები სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე (16.6%-ით) და ტრანსპორტის ჯგუფზე (16.3%-ით) გაიზარდა, შემდეგ მოდის სასტუმრო, კაფე და რესტორნის ჯგუფი 10%-ით, ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო 8.9%-ით; ყველაზე მეტი კლება კი 14.2%-ით კავშირგაბმულობის ფასებმა განიცადა.

12 თვიან პერიოდში, „საქსტატის“ მონაცემებით, ფასების მნიშვნელოვანი მატება დაფიქსირდა: ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფზე — 30.4%, რძე, ყველი და კვერცხის ქვეჯგუფზე — 26.4%, ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე — 26.1%, ზეთსა და ცხიმზე — 25.6%, პურსა და პურპროდუქტებზე — 21.9%; ბენზინზე — 17.3%, დიზელზე — 22.5%, ქალაქს შიგნით ავტობუსით და მიკროავტობუსით მგზავრობაზე — 22.1%.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ინფლაციის კლების დინამიკის გათვალისწინებით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 20 ივლისს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, რომელიც თებერვლიდან 8%-ზე იყო შენარჩუნებული, 7.75%-მდე შეამცირა.

**პრაიმ-ნიუსი**

# საბერძნეთში გარდაცვლილი რევაზ ჟამურელი ჩამოასვენეს

21 წლის რევაზ ჟამურელის ცხედრის სამშობლოში გადმოსვენება 21 დღიანი დაგვიანებით მოხერხდა. ის დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში გუშინწინ დაკრძალეს.

ინტერნეტ-გაზეთ „ქიზიყის“ წერს, რომ საბერძნეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ირაკლი თავართქილაძის განცხადების მიუხედავად, თითქოს ცხედრის გადმოსვენება 28 ივლისს ათენი-თბილისის რეისით მოხდებოდა, გადმოსვენება მაინც ვერ მოხერხდა. ელჩი ირწმუნება, რომ ჟამურელის გადმოსვენება ოჯახის ფინანსურ პრობლემებს უკავშირდება.

საწინააღმდეგოს ამტკიცებს გარდაცვლილის ოჯახი, მათი თქმით, პროცესი დოკუმენტების არარსებობის გამო გაჭიანურდა. ემიგრანტის ცხედარი საბერძნეთში, კუნძულ კორსიზე 11 ივლისს იპოვეს. ჟამურელის ოჯახს საბერძნეთიდან ოფიციალურად აცნობეს, რომ სიკვდილის მიზეზი უბედური შემთხვევა გახდა და ის ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ჟამურელი სამსახურებრივი მოტოციკლეტით მოძრაობდა, რა დროსაც ბორდიულს შეეჯახა და სიცოცხლესთან შეუთავსებელი ტრავმები მიიღო.

ბერძნული გამოძიების ვერსიას არ ეთანხმება გარდაცვლილის ოჯახი, ისინი საქმის ხელახალ შესწავლას ითხოვენ.

როგორც სოფელ ზემო ქედში განმარტავენ, რევაზ ჟამურელი საბერძნეთში ლეგალურად იმყოფებოდა. კუნძულ კორსიზე ის 1 წლის წინ გაემგზავრა და ტურისტულ სააგენტოში ველოსიპედებს აქირავებდა.

**მედიანიუსი**



# ვიცე-სპიკერმა სტიქიით დაზარალებული სოფლები მოინახულა

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ანზორ ბოლქვაძემ ხულოს რაიონის სტიქიით დაზარალებული სხალთა-ხიხანის ხეობის, ფუშრუკაულის, ხიხაძირის, თხილვანის თემების 15-ზე მეტი სოფელი მოინახულა.

მისი ცნობით, მოვარდნილმა ღვარცოფმა საავტომობილო გზები წალეკა, ნიაღვარმა ხიდები წაიღო, ხოლო ჩამოწოლილი მეწყრის შედეგად სოფელ თხილვანაში საავტომობილო მიმოსვლა შეფერხდა. წაღებულია თხილვანაში მისასვლელი ხიდიც.

სარიჩარის მთაზე სტიქიამ შენობები დააზიანა. მეხმა რამდენიმე სული პირუტყვი დახოცა.

რეგიონის და ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების ოპერატიული მუშაობის შედეგად სოფლებში საავტომობილო მიმოსვლა ნაწილობრივ აღდგა. სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისთვის ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

**პირველი**

# ვანო მერაბიშვილმა ისანი-სამგორის რაიონში პოლიციის ახალი შენობა გახსნა

შს მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა ისანი-სამგორის რაიონში პოლიციის ახალი შენობა გახსნა. შენობის გახსნას თბილისის მერი გიგი უგულავაც ესწრებოდა.

შსს-ს ცნობით, მოსკოვის გამზირის №14-ში მდებარე ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის სამმართველოს ახალი შენობაში 120 თანამშრომელი იმუშავებს და მოემსახურება ისანი-სამგორის რაიონის მოსახლეობას. აღნიშნული პოლიციის შენობა რაიონში რიგით მეექვსეა.





მათივე ცნობით, ისანი-სამგორის ახლად აშენებული სამმართველო მსგავსად სხვა შენობებისა, გამჭვირვალეა არა მარტო ფასადით, არამედ თავისი საქმიანობით. პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების ნაწილია.

2008 წლიდან შინაგან საქმეთა სამინისტრომ თბილისის სხვადასხვა რაიონებში ააშენა და აამოქმედა პოლიციის განყოფილების თვრამეტი ახალი შენობა, რომლებიც აღჭურვილია უახლესი კომპიუტერული ტექნიკით და არის სრულიად გამჭვირვალე.

**ინტერპრესნიუსი**

## პატრიარქი: ოჯახებს ფულის განკარგვაში დავეხმაროთ



სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II სემინარზე „ეკლესია და ეკონომიკა“ კომიტეტის შექმნის ინიციატივით გამოვიდა, რომელიც ოჯახებს საკუთარი ფინანსების სწორად განკარგვაში დაეხმარება.

სემინარი ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა. სემინარზე მთავარი განსახილველი თემა ეკონომიკაში ეკლესიის როლი, დასაქმება და საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები იყო.

— ერთი შეხედვით, თითქოს არ არის კავშირი ეკლესიასა და ეკონომიკას შორის. სინამდვილეში, ძალიან დიდადაა დაკავშირებული ეკლესია ეკონომიკასთან და ეკონომიკის განვითარებისთვის ბევრ რამეს აკეთებს. ჯერ ერთი, ხალხის დასაქმება. მე არ მეგულება არც ერთი დაწესებულება საქართველოში, რომ ამდენი ხალხი იყოს დასაქმებული, რაც ეკლესიაშია, — განაცხადა ილია მეორემ.

**ინტერპრესნიუსი**

## თელავში შუალედური არჩევნები 720.002 ლარი დაჯდება

თელავში პარლამენტის შუალედური არჩევნები 720.002 ლარი დაჯდება.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შესაბამისი დადგენილება უკვე გამოსცა. კომისიამ დაადგინა, რომ თელავში შუალედური არჩევნების ჩატარება 720.002 ლარი უნდა დაჯდეს, საიდანაც შრომის ანაზღაურებაზე 579.549 ლარი, საქონელსა და მომსახურებაზე 112.953 ლარი, ხოლო სხვა ხარჯებზე 27.500 ლარი მოდის.

თელავში პარლამენტის შუალედური არჩევნები მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს უნდა ჩატარდეს. თელავის მაჟორიტარი დეპუტატი გია არსენიშვილი გასულ წელს გარდაიცვალა. საარჩევნო კოდექსის თანახმად, შუალედური არჩევნები შემოდგომით, ოქტომბერ-ნოემბერში ტარდება.

**ინტერპრესნიუსი**

## სოფელ მედანში ხუთი მღვიმის სათავე აღმოაჩინეს

სპელეოლოგებმა წალენჯიხის რაიონის სოფელ მედანის ტერიტორიაზე ხუთი მღვიმის სათავე აღმოაჩინეს. სოფელ ჩქვალერში, მდინარე ინწრას სათავესთან ზედაპირული მოკვლევა 5-კაციანმა სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა, რომელსაც სპელეოლოგი ელგუჯა ჯამრიშვილი ხელმძღვანელობდა.

სპელეოლოგების ვარაუდით, ინწრას და მედანის მღვიმეები ერთ სიბრტყეზე მდებარეობენ და მათი სერიოზული შესწავლაა საჭირო.

წალენჯიხის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის, ლაშა ზარქუას, განცხადებით, სპელეოლოგთა ჯგუფს დიდი ექსპედიციის ჩასატარებლად შემოდგომაზე ელოდებიან.

ექსპედიციის დასაფინანსებლად საჭირო ხარჯების ნაწილს წალენჯიხის ბიუჯეტი გამოყოფს, ნაწილს კი ცენტრალური ბიუჯეტი დაფარავს.

**ინტერპრესნიუსი**

## სოფელ კალაურში მე-6 საუკუნის ეკლესია დაინგრა

გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურში მე-6 საუკუნის კორდომიანის ეკლესია დაინგრა. ეკლესიის სახურავი ჩამოქცეულია, კედლები კი შუაზეა გადახსნილი.

— კორდომიანის ეკლესია სოფლიდან 2 კილომეტრში, გორაზე დგას. სალოცავთან მისასვლელი სამანქანო გზა წლებია დაზიანებულია, თუმცა ადგილობრივი მაცხოვრებლები ეკლესიაში ფეხით მაინც მიდიან, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს კალაურის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ნიკოლოზ დოხნაძემ.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ძეგლთა დაცვის სამსახურში განაცხადეს, რომ ეკლესიის სავალალო მდგომარეობის შესახებ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ინფორმირებული იყო, თუმცა 2011 წელს, გურჯაანის რაიონში სააგენტოს დაფინანსებით ვაჩნაძიანის ყველაწმინდის ეკლესიის და ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი ხორციელდება.

**პრაიმ-ნიუსი**

# რას ერჩის ხელისუფლება შოთა იამანიძეს

შორენა კოწოწაშვილი

**მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ აგრძელებს უკანონოდ დაპატიმრებულ პირთა საქმეების შესწავლას და მონიტორინგს. მოძრაობის ხელმძღვანელი ეკა ბესელია აცხადებს, რომ პოლიტიკური ნიშნით დაკავებული პირების მიმართ ადგილი აქვს უკანონობის დაკანონებას და კანონის უხეშ დარღვევას.**

**გუშინ, 3 აგვისტოს, ეკა ბესელიამ „დაიცავი საქართველოს“ ახალგაზრდული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის, ვეტერანთა ლიგის წევრის შოთა იამანიძის საქმესთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გამართა და პრესას ის დარღვევები გააცნო, რომლებიც უკვე დაფიქსირდა ამ საქმეში.**

**ეკა ბესელია:**

— ჩვენ გადავწყვიტეთ, კიდევ ერთი საქმე გავხადოთ საჯარო, რომელზეც ჩვენი მოძრაობა აგრძელებს მონიტორინგს. მონიტორინგი გულისხმობს საქმის შესწავლას იმ პირებისა, რომელთა მიმართ მოხდა უკანონოდ საპროცესო ღონისძიებების გატარება: უკანონოდ დაკავება, უკანონო დაპატიმრება. შესაბამისად, სასამართლო პროცესები, რომელიც მიმდინარეობს, ჩვენი დაკვირვების ქვეშაა. ვაკვირდებით, რამდენად სამართლიანად ხდება ამ საქმეების განხილვა.

ბესელიას თქმით, იამანიძის საქმესთან დაკავშირებით უკვე ჩატარდა რამდენიმე სასამართლო პროცესი. 5 აგვისტოს არის დანიშნული შემდეგი სასამართლო განხილვა.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, შოთა იამანიძეს ბრალად ედება სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების შეძენა-შენახვა. ამჟამად მიმდინარეობს მისი საქმის სასამართლო განხილვა საქალაქო სასამართლოში, რომელსაც მონიტორინგს უწევს მოძრაობა „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“.

***— საქმის მასალების შესწავლით გამოიკვეთა, რომ შოთა იამანიძის მიმართ ბრალდება დაუსაბუთებელია და იგი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან უნდა გათავისუფლდეს, — განაცხადა ეკა ბესელიამ.***

შოთა იამანიძე 2011 წლის 17 მაისს შსს-ს გაურკვეველი ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დააკავეს. ჩხრეკა ჩაატარეს დამსწრეებისა და ადვოკატის გარეშე და შოთა იამანიძეს თითქოს აღმოაჩნდა რაღაც ფხვნილი. ფხვნილს შსს-ში ჩაუტარდა ექსპერტიზა და დადგინდა, რომ არის თურმე „ჰეროინი“. შსს-ს საექსპერტო სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ შოთა იამანიძეს აღმოაჩნდა ოპიუმის ჯგუფის ალკალოიდების შემცველობა, მიუხედავად იმისა, რომ პატაკში მოწოდებული ინფორმაციით,



იამანიძე იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ, 17 მაისს იგი არ იმყოფებოდა თრობის ქვეშ, რაც კიდევ ერთხელ მტკიცებულებათა შეუსაბამობაზე მეტყველებს. გამოძიება მხოლოდ ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით შემოიფარგლა და სრულყოფილი გამოძიების წარმოების ვალდებულების ნაცვლად, საქმე ცალკე წარმოებად გამოყო და სასამართლოს წინაშე არასრულფასოვანი და ერთმანეთთან შეუსაბამო მტკიცებულებებით წარსდგა.

— სასამართლო პროცესზე ძირითადად წარმოდგენილია მხოლოდ პოლიციელების ჩვენებები. სამწუხაროდ, ეს არის ტენდენცია, რომელსაც ჩვენ ბევრ საქმეში ვხვდებით. პოლიციელების ჩვენებები, მხოლოდ ბრალდების მიერ ჩატარებული ექსპერტიზა და სამწუხაროდ, არცერთი უტყუარი მტკიცებულება ბრალის დამადასტურებელი. მხოლოდ შსს-ს ოპერატიული ინფორმაცია, შსს-ს გამომძიებლები, შსს-ს ექსპერტიზა ვერ უზრუნველყოფს, გონივრულ ეჭვს მიღმა დაამტკიცონ შოთა იამანიძის დანაშაული, შესაბამისად, იამანიძის მიმართ წარდგენილი ბრალი უსაფუძვლოა. უტყუარი მტკიცებულებების გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა დაუშვებელია, — აცხადებს ბესელია.

მისი თქმით, იამანიძის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა უნდა შეწყდეს. ეს არის ერთადერთი კანონიერი გადაწყვეტილება, რომელიც შეიძლება იყოს მიღებული.

შალვა დადუმაძე — შოთა იამანიძის ადვოკატი:

— აღნიშნული საქმე წარმოებაში იქნა მიღებული 17 მაისს. მოხდა რა შოთა იამანიძის დაკავება ქუჩაში, ყველა მტკიცებულება, რომელიც ამოღებულია საქმესთან დაკავშირებით, სასამართლოს ბრძანების გარეშეა. ჯერ მოხდა ე.წ. მტკიცებულებების შეგროვება და შემდეგ სასამართლოს ბრძანებებით მისი გამყარება. იამანიძეს ბრალი ედება ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვაში, მაგრამ ბრალდების დოკუმენტში წერია, რომ გამოძიებისთვის უცნობია, ვისგან, როდის, რა ოდენობით და რა ვითარებაში შეიძინა იამანიძემ ნარკოტიკული ნივთიერება. მიუხედავად ამისა, მას ბრალი მაინც ნარკოტიკების შეძენაში ედება. რაც შეეხება შენახვას, მრავალი კითხვის ნიშანი არსებობს. ამ საქმესთან დაკავშირებით მოწმეები არიან მხოლოდ შს სამინისტროს თანამშრომლები. ამ სასამართლო პროცესზე ნათლად ჩანს, რომ ერთ მხარეს დგას ბრალდების მხარე — შსს, მეორე მხარს დგას მეტ-ნალდებად აქტიური საზოგადოების წევრი, რომელიც თავის პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ საქმიანობას აქტიურად ახორციელებდა. შესაბამისად, საზოგადოების და უფლებადამცველების მხრიდან სასურველია, რომ ამ საქმეზე განხორციელდეს მონიტორინგი, რათა არ იქნას შოთა იამანიძის მიმართ დარღვეული სამართლიანი სასამართლოს უფლება.

საყურადღებოა, რომ შოთა იამანიძე დააკავეს ვეტერანთა აქციის დროსაც იანვარში და მას ადმინისტრაციული ჯარიმა შეუფარდეს.

## მომავალი კვირიდან საქართველოში ხსოვნის კვირეული იწყება

აგვისტოს ომში დაღუპულთა პატივსაცემად, მომავალი კვირიდან საქართველოში ხსოვნის კვირეული დაიწყება.

შვიდი აგვისტოდან ყველა მოქალაქეს ექნება შესაძლებლობა, ხსოვნის სიმბოლოდ წითელ ყაყაჩოების და ყაყაჩოს გამოსახულებიანი მაისურების ტარება, რომლებიც „ბიბლუსის“ მაღაზიებსა და ჰიპერმარკეტ „გუდვილში“ სიმბოლურ ფასად გაიყიდება.

აქცია გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ ინიციატივით ხორციელდება. ინციატორთა ინფორმაციით, შემოსული თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება.

ხსოვნის კვირეულში ამ დროისთვის 20-მდე კერძო კომპანია და სახელმწიფო დაწესებულებაა ჩართული.

**ინტერპრესნიუსი**

## სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 5 000 000 ლარის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე დღეს 5 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 2 წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, აუქციონში ხუთმა კომერციულმა ბანკმა მიიღო მონაწილეობა. ბანკების მოთხოვნამ 10 500 000 ლარი შეადგინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 10.770%-ით განისაზღვრა, მაქსიმალური - 10.900%-ით, ხოლო საშუალო შეწონილი - 10.835% ით. კუპონურმა განაკვეთმა 10.8% შეადგინა. კუპონის გადახდა წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში მოხდება. **ინტერპრესნიუსი**



# რატომ არის ბოსელი ილია ჭავჭავაძის სასამართლოში?!

## მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი უსაფრთხოების გარანტიებს ითხოვს

**რეგიონებში ჟურნალისტების ბედი ძალიან მძიმეა. ამ მხრივ გამონაკლისს არც მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები შეადგენენ. ცენტრმა ძალიან ცოტა ხანია, რაც მუშაობა დაიწყო. პრობლემები კი უკვე სერიოზულად შეექმნა. ამის შესახებ „ახალი თაობა“ უკვე იუწყებოდა.**

**მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ერთადერთმა დამოუკიდებელმა მედიასაშუალებამ მუშაობა ივნისიდან დაიწყო. პრობლემებმაც ივნისიდან იჩინა თავი. მათ ადგილობრივმა ჩინოსნებმა სერიოზული პრობლემები შეუქმნეს. დააშინეს ჟურნალისტები და დასაჯეს ის ხალხი, ვინც ცენტრს ოფისი მიაქირავა.**



ძველი დუშეთი

თეა მარხვაი ე

ხელისუფლების მრისხანების მიზეზს ცენტრის პროექტის ხელმძღვანელი **გელა მთივლიშვილი** ასე ხსნის:

— ჩვენ ვწერდით, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დიდი რაოდენობით თანხები ხელფასებსა და პრემიებზე იხარჯება; ადგილობრივი ხელისუფლება სტიქიას სრულიად მოუმზადებელი შეხვდა; დუშეთის და ჟინვალის დაზიანებული კანალიზაციებიდან ფეკალური მასები მდინარე არაგვში ჩაედინება, საიდანაც სასმელი წყლით თბილისის მოსახლეობა მარაგდება; უკანა ფშავში ბავშვის დახრჩობის მიზეზი სტიქია კი არა, უხარისხოდ აგებული ხიდი გახდა, რომელმაც მდინარის ადიდებას ვერ გაუძლო და ჩაინგრა; მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ინგრევა; ბოსელია ილია ჭავჭავაძის სასამართლოში; დუშეთის წყალმომარაგებისთვის რამდენიმე მილიონია დახარჯული, ქალაქს კი სასმელი წყალი არ აქვს.

ცენტრმა დაიწყო ჟურნალისტური გამოძიებაც, რაც ჩინოსნებს სულაც არ მოეწონათ. ამ მხრივ ყველა რეგიონში თანაბრად რთული ვითარებაა. თუმცა, როგორც ჩანს, მცხეთა-მთიანეთში თავისუფალ მედიას განსაკუთრებით არ სწყალობენ.

— ორი თვის განმავლობაში მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტებს არ უშვებენ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს შენობაში. ივნისსა და ივლისში საინფორმაციო ცენტრმა საჯარო ინფორმაციის მისაღებად გამგეობას და საკრებულოს 20 განცხადებით მიმართა, საჯარო ინფორმაციის დაბლოკვის 4 ფაქტი კი ადმინისტრაციული წესით გაასაჩივრა, თუმცა ამ დრომდე გამგებელს და საკრებულოს თავმჯდომარეს არცერთი ადმინისტრაციული საჩივარი არ განუხილავთ, — ამბობენ ჟურნალისტები.

„ახალი თაობა“ უკვე იუწყებოდა იმის შესახებ, რომ ხელისუფლებამ ჟურნალისტები დააშინა. საუბარია დუშეთში მცხოვრებ ჟურნალისტებზე. მათ სხვადასხვა ფორმით დაემუქრნენ. ისინიც იძულებული გახდნენ, სამსახური დაეტოვებინათ.

— მუქარა დუშეთის საკრებულოს წევრ ზურაბ ოტიაშვილის და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ლაშა ჯანაშვილის სახელით გამგეობის თანამშრომელმა, გაზეთ „დუშეთის მაცნეს“ რედაქტორმა მიხეილ ჭონქაძემ და კიდევ ერთმა მოხელემ განახორციელეს, — ამბობენ საინფორმაციო ცენტრში.

დევნა ამით არ დასრულებულა. 5 ივლისს, საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტებს, გამგეობის კანცელარიიდან, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადებებისა და ადმინისტრაციული საჩივრის ჩაბარების თაობაზე დოკუმენტის მიღება სურდათ. გამგეობისა და საკრებულოს დაცვის სამსახურის უფროსმა თემურ აბულაშვილმა ჟურნალისტები შენობაში არ შეუშვა და მათ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ჩინოსნებმა საინფორმაციო ცენტრს თანამშრომლების დაწიოკება არ აკმარა და ოფისიც დაატოვებინა.

— დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრ ზურაბ ოტიაშვილის დავალებით, გამგეობაში დაიბარეს ოფისის მეპატრონე, სადაც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრია განთავსებული. შეხვედრა ოტიაშვილის სამუშაო ოთახში შედგა. შეხვედრას ოტიაშვილის ნდობით აღჭურვილი პირი, სახელმწიფო ზრუნვის დუშეთის ფილიალის (დუშეთის შშმპ პანსიონატი) დირექტორი დარეჯან თომაძეც ესწრებოდა. მათ პირდაპირ მოსთხოვეს ოფისის მეპატრონეს, რომ საინფორმაციო ცენტრთან იჯარის ხელშეკრულება გაეწყვიტა და ჟურნალისტები ოფისიდან გაეძევებინა. იმავე საღამოს, ოფისის მეპატრონე ცენტრში მივიდა, მორიგე რედაქტორი გააფრთხილა და მოსთხოვა, რომ რამდენიმე დღეში ოფისი დაეცალათ, — ამბობს გელა მთივლიშვილი.

მისი თქმით, ქალბატონმა მიზეზი ვერ დაასახელა, აღნიშნა, რომ მისი გადაწყვეტილება ასეთი იყო.

— ჩვენ ქალბატონს ავუხსენით, რომ იჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შესაძლოა, პროექტის განხორციელებას საფრთხე დამუქრებოდა, რის გამოც კონტრაქტის გაწყვეტაზე უარი ვთქვით. ამასთან, ოფისის მეპატრონე გავაფრთხილეთ, რომ კონტრაქტის ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, სასამართლოს მივმართავდით და მისგან მატერიალურ კომპენსაციას მოვითხოვდით. მომდევნო დღეს საინფორმაციო ცენტრის ოფისის მესაკუთრის და, ნანა, სამსახურიდან გაათავისუფლეს, — ამბობს მთივლიშვილი.

ის იხსენებს იმ დღესაც, როცა დუშეთის გამგებელმა საინტერესო მუქარა შეუთვალა.

— 15 ივლისს მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა გამოაქვეყნა ფოტორეპორტაჟი — ბოსელი „ილია ჭავჭავაძის სასამართლოში“. ცენტრი იუწყებოდა, რომ დუშეთის სასამართლოს ყოფილი შენობა, სადაც 1864-1873 წლებში ილია ჭავჭავაძე მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობდა, ინგრევა. შენობა, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს, სანაგვედ და საქონლის თავშესაფრად არის ქცეული. ილიას სამუშაო ოთახში და სასამართლოს დარბაზში ბოსელია. ძეგლი, რომელიც სახელმწიფოს საკუთრება იყო, მოულოდნელად ყოფილი დეპუტატის, მარინა მოლოდინის და კიდევ ერთი კერძო პირის მფლობელობაში აღმოჩნდა. 2011 წლის 16 თებერვალს, ეზოდან, ილია ჭავჭავაძის ბიუსტიც მოიპარეს. იმავე დღეს ამ თემაზე სიუჟეტები მოამზადეს საერთო ეროვნულმა ტელეკომპანიებმა. ამბის გაშუქებით აღშფოთებულმა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ლაშა ჯანაშვილმა შემომითვალა, „მაგას გიორგი სააკაძე არ უნახავს ალბათ, არ ეშინია, დედამისს მისი თავი გავუგზავნოთო“, — აღნიშნა მთივლიშვილმა.

მისი თქმით, მუქარის მიუხედავად, ცენტრი აგრძელებდა მუშაობას. ჟურნალისტები თბილისიდან მიიწვიეს. მაგრამ არც ამან უშველათ.

29 ივლისს მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა გამოაქვეყნა სტატია, „პრეზერვატივების ასაკრეფად რომ არ მივედი, სამსახურიდან გამათავისუფლეს“. აქ დოდო ჩოხელი სკანდალურ ინფორმაციას აქვეყნებდა. ამბობდა, რომ სამსახურიდან მისი მოხსნის მიზეზი იყო ის, რომ უარი თქვა პრეზერვატივების აკრეფაზე. რომლებიც ოტიაშვილის კაბინეტიდან გადაუყრიათ.

ამას დუშეთში დიდი ამბები მოჰყვა. გელა მთივლიშვილს ფეისბუქში ერთ-ერთმა ნაცნობმა მისწერა: „ოტიაშვილმა დაიტრაბახა, არ ეშინიათ, მოულოდნელად მანქანამ რომ არ დაამუხრუჭოს ან ოფისში გაზის ბალონი რომ აუფეთქდეთ?“.

ინციდენტი ჟურნალისტებს 2 აგვისტოსაც შეემთხვათ. დუშეთის გამგეობის შენობაში შესულ მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის კორესპონდენტ მანანა ქველიაშვილს თავს დაცვის სამსახურის თანამშრომელი დაესხა, ხელჩანთა გამოგლიჯა და გაჩხრიკა.

ჟურნალისტის თქმით, დაცვის სამსახურის თანამშრომლებს გამგეობის პრესსამსახურის ხელმძღვანელი ირმა ჯანგირაშვილი გაეკიდათ და მათ მოუწოდებდა, რომ ჩანთაში არაფერი ჩაედოთ.

ინციდენტის შემდეგ საკრებულოს წევრ ზურაბ ოტიაშვილსა და მანანა ქველიაშვილს შორის საუბარი გაიმართა. საუბრის დასასრულს ოტიაშვილს ჟურნალისტისთვის ასეთი რამ უთქვამს: „უშიშროებაში 15 წელი ვმუშაობდი. იმნაირები დამიჭერია?!“.

ამ ფაქტების შემდეგ გუშინ საინფორმაციო ცენტრმა საგანგებო განცხადება გაავარცელა. ცეტრი მიმართავს შს მინისტრ ვანო მერაბიშვილს და მისგან ითხოვს უსაფრთხოების გარანტიებს.

◆

ყველაზე მეტი პრეტენზია საინფორმაციო ცენტრს ზურაბ ოტიაშვილთან ჰქონდა. „ახალ თაობასთან“ საუბარში ოტიაშვილმა კატეგორიულად უარყო ჟურნალისტებთან დაპირისპირება.

— მე ჟურნალისტებთან არანაირი უთანხმოება არ მქონია. მათთვის არც ხელი შემიშლია, ან რატომ უნდა შევუშალო? ისინი თავის საქმეს აკეთებენ. მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრისთვის არანაირი პრობლემა არ შემიქმნია, — განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ოტიაშვილმა.

ჟურნალისტები საპირისპიროს ამტკიცებენ და ამ ფაქტების შესწავლას პროკურატურისგან ითხოვენ.

## მე-8 საავადმყოფოს ექიმები პრეზიდენტთან შეხვედრას ითხოვენ

თბილისის მე-8 საავადმყოფოს ექიმები სამსახურიდან გათავისუფლების გამო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრას ითხოვენ.

როგორც გუშინ, „სოციალ დემოკრატების“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე საავადმყოფოს ქირურგმა გოგი ხუციშვილმა განაცხადა, კოლექტივს არ სჯერა ჯანდაცვის მინისტრის სიტყვიერი დაპირებისა და იმ შემთხვევაში, თუ სარემონტო სამუშაოების გამო კლინიკის დახურვა აუცილებელია, ხელისუფლებამ მათ წერილობითი ხელშეკრულება უნდა გაუფორმოს.

თუ ამ ხელშეკრულებას ოფიციალური ძალა ექნება და მითითებული იქნება, რომ კლინიკის თანამშრომლები სარემონტო სამუშაოების შემდეგ კლინიკაში დაბრუნდებიან, თანამშრომლები კლინიკიდან დროებით წასვლას დათანხმდებიან.

**პრაიმ-ნიუსი**

## სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 5 მილიონის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციების აუქციონზე 5 მილიონი ლარის ნომინალური ღირებულების 2 წლიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში ხუთმა კომერციულმა ბანკმა მიიღო მონაწილეობა. ბანკების მოთხოვნამ 10.000.000 ლარი შეადგინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 10.770%-ით განისაზღვრა, მაქსიმალური — 10.900%-ით, ხოლო საშუალო შეწონილი — 10.835%-ით. კუპონურმა განაკვეთმა 10.8% შეადგინა. კუპონის გადახდა წელიწადში ორჯერ, ყოველ ექვს თვეში მოხდება.

**ინტერპრესნიუსი**

## ხელმოკლე მოსწავლეებს — უფასო სახელმძღვანელოები

სოციალურად დაუცველ მოსწავლეებს სასწავლო სახელმძღვანელოებით სახელმწიფო უზრუნველყოფს. სახელმძღვანელოები წელს ყველა კლასის მოსწავლეებს დაურიგდებათ. წიგნების გადაცემის პროცესში საქართველოს ფოსტა ჩაერთვება. შესაბამის მემორანდუმს დღეს, 4 აგვისტოს, 11:00 საათზე, ხელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და საქართველოს ფოსტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე კახა ბაინდურაშვილი მოაწერენ.

მემორანდუმის გაფორმების ცერემონია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართება. **ინტერპრესნიუსი**

## დედამიწაზე მაგნიტური ქარიშხალია მოსალოდნელი

4-5 აგვისტოს დედამიწაზე მაგნიტური ქარიშხალია მოსალოდნელი. ამის შესახებ ჟურნალისტებს კოსმოსური ამინდის პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელმა სერგეი გაიდაშმა განუცხადა.

— 4-5 აგვისტოს დედამიწაზე მოსალოდნელია მცირე მაგნიტური ქარიშხალი, თუმცა, შესაძლოა, ის დიდ ქარიშხლად გადაიქცეს, — განაცხადა მან.

**მედიანიუსი**

## განათლების სამინისტრო 500-მდე სკოლის გაუქმებას აპირებს



„ლეიბორისტული პარტიის“ ინფორმაციით, მიმდინარე ზაფხულის განმავლობაში განათლების სამინისტრო ოპტიმიზაციის მოტივით, საქართველოს მასშტაბით 500-მდე საჯარო სკოლის გაუქმებას გეგმავს.

როგორც პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ განაცხადა, საქართველოს ხელისუფლება და კონკრეტულად განათლების მინისტრი დიმტრი შაშკინი აშშ-ს „ცე-ერ-უს“ პირდაპირ დავალებს ასრულებს, რომელიც ქართველი ხალხის გაუნათლებელ, მეორეხარისხოვან ერად ქცევას ითვალისწინებს.

— ანგლო-ამერიკული იმპერიის მიზანია კოლონიად ქცეული საქართველოს მოსახლეობა აქციოს გაუნათლებელ, მეორეხარისხოვან მომსახურე ერად, რათა ადვილად მართოს და დაიმორჩილოს, — აცხადებს გუგავა.

მისივე ინფორმაციით, დახურვა ემუქრება ყველა იმ სკოლას, რომელშიც მოსწავლეთა რაოდენობა 300-ს არ აღემატება.

გუგავა მოუწოდებს პედაგოგებსა და მშობლებს, ნუ გასწირავენ შვილებს მონობისთვის და ლეიბორისტულ პარტიასთან ერთად იბრძოლონ თითოეული სკოლის შენარჩუნებისთვის.

**პრაიმ-ნიუსი**

## აბიტურიენტებმა უკეთესი შედეგი აჩვენეს

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, 2011 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების უკვე შემოწმებულმა საგნების მაჩვენებლებმა აჩვენა, რომ შარშანდელ წელთან შედარებით, აბიტურიენტებმა უკეთესი შედეგი აჩვენეს.

ერთიან ეროვნულ გამოცდებს წელს 34 000 აბიტურიენტი აბარებდა. აბიტურიენტებმა საუკეთესო შედეგი ქართულ ენაში აჩვენეს, სადაც აბიტურიენტების მხოლოდ 6.4% ჩაიჭრა, უნარ-ჩვევებში 7%, უცხო ენებში 12%-მა ვერ გადალახა ბარიერი, რაც, სამინისტროს განმარტებით, შარშანდელ წელთან შედარებით, მონაცემების მკვეთრი გაუმჯობესებაა.

რაც შეეხება არჩევით საგნებს, მათემატიკა მეოთხე საგნად წელს აბიტურიენტების 33.6%-მა აირჩია, საიდანაც 30% ჩაიჭრა, რაც საერთო აბიტურიენტების რაოდენობის 10%-ზე ნაკლებია, წელს ეს მაჩვენებელიც უკეთესია 2010 წლის მაჩვენებელთან შედარებით, როდესაც ჩაჭრილთა რაოდენობა 35%-ს შეადგენდა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კიდევ ერთხელ უსურვებს წარმატებას ყველა აბიტურიენტს და მოხარულია იმ ფაქტით რომ წლევანდელი შედეგები, შარშანდელი ეროვნული გამოცდების შედეგებთან შედარებით გაუმჯობესებულია.ასევე შეახსენებს საზოგადოებას, რომ არცერთ ქვეყანაში არ არსებობს ჩარიცხვის 100%-იანი მაჩვენებელი. მაგალითისთვის, შარშან, ამერიკის შეერთებულ შტატებში მსურველთაგან 68% გახდა სტუდენტი, ხოლო აზერბაიჯანში ეს მაჩვენებელი 2010 წელს დაახლოებით 30%-ს — შეადგენდა.

**მედიანიუსი**

## ცოფით 15 წლის მოზარდი გარდაიცვალა

ცოფით 15 წლის მოზარდი გარდაიცვალა. როგორც „მედიანიუსს“ თბილისის ინფექციური საავადმყოფოდან აცნობეს, 15 წლის ბიჭუნა, რომელსაც რამდენიმე დღის წინ თავისმა ძაღლმა უკბინა, მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოდან გაწერეს, რის შემდეგაც სახლში გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, დაკბენილმა მოზარდმა ცოფის საწინააღმდეგო შრატი ქუთაისში არ გაიკეთა, რის გამოც ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობით პაციენტი ქუთაისიდან თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში გადმოიყვანეს.

ექიმების განცხადებით, მოზარდის გარდაცვალების მიზეზი დაგვიანებული მკურნალობა გახდა. **მედიანიუსი**

# ჯონდი ბაღათურია ვიცესპიკერობას უმიზნებს

## სად წავა პაატა დავითაია?

ნანა მიშელაშვილი

**ვიცესპიკერობისთვის პარლამენტში ბრძოლა შემოდგომაზე დაიწყება. გაერთიანებული ოპოზიციის სიით გასული დეპუტატები, შესაძლოა, არჩევანის წინაშე დადგნენ. ვინ იქნება ვიცე-სპიკერი — პაატა დავითაია თუ ჯონდი ბაღათურია? დავითაია უკვე არის ვიცე-სპიკერი, ბაღათურიას კი ვიცესპიკერობა სურს.**

ჯონდი ბაღათურია ვიცე-სპიკერი ალბათ ვერ გახდება. საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ღიად საუბრობენ იმაზე, რომ ბაღათურიას ვიცე-სპიკერობის შანსი არ აქვს. ერთადერთი შანსი ბაღათურიას ვიცე-სპიკერობისა იმ შემთხვევაში გაუჩნდება, თუ დავითაია ვიცე-სპიკერობიდან გადადგება.

პაატა დავითაია კი ვიცე-სპიკერობიდან გადადგომას არ აპირებს. ის პარლამენტმა დაახლოებით ორწელიწადნახევრის წინ აირჩია ვიცე-სპიკერად და ამ პოსტიდან წასვლას ამ მოწვევის პარლამენტის ბოლომდე არ აპირებს.

პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის არა უმეტეს 3 კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ საპარლამენტო არჩევნებში ბარიერგადალახულ იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებიც გაერთიანებული არ არიან უმრავლესობაში და შექმნილი აქვთ საპარლამენტო ფრაქცია. ამდენად, კანდიდატის დასახელება შეუძლია საარჩევნო სუბიექტს — გაერთიანებულ ოპოზიციას, რომელიც აღარ არსებობს.



პაატა დავითაიას ამ პოსტიდან გამოწვევა მხოლოდ გაერთიანებულ ოპოზიციას შეუძლია. გაერთიანებული ოპოზიცია კი ამჟერად დაშლილია. დავითაია სწორედ გაერთიანებული ოპოზიციის სიით არის პარლამენტში გასული. ამავე სიით არის გასული ჯონდი ბაღათურია.

სხვათა შორის, დავითაიას წარდგენისასაც საკმაოდ ბევრი გაუგებრობა არსებობდა. იმის გამო, რომ გაერთიანებული ოპოზიციიდან დიდი ნაწილი პარლამენტში არ შევიდა, კეთდებოდა განცხადებები, რომ იმ დეპუტატებს, რომლებიც პარლამენტში შევიდნენ, ამ ბლოკის სახელით მოქმედების უფლება არ ჰქონდათ. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ ამ ბლოკმა გადალახა ბარიერი და პარლამენტში შესული დეპუტატები, გარკვეულწილად, ამ ბლოკის სამართალმემკვიდრეები იყვნენ.

ასეა თუ ისე, დავითაია პარლამენტში ამ ბლოკის სახელით შევიდა და, თუკი დღის წესრიგში მისი გადარჩევის საკითხი დადგება, გადაწყვეტილება იმ ხალხმა მაინც უნდა მიიღოს, ვინც პარლამენტში ამ ბლოკის სახელით არის შესული. ეს დეპუტატები არიან: თავად პაატა დავითაია, ჯონდი ბაღათურია, გია თორთლაძე, გია ცაგარეიშვილი, დიმიტრი ლორთქიფანიძე. ამასთან, კონსტანტინე გამსახურდიამ მოგვიანებით ხელისუფლების შეთავაზებით ისარგებლა და თავისი დაჭრილი მანდატი „გაიმთელა". მაგრამ ახლა იგი უკვე ელჩია და, შესაბამისად, დეპუტატის უფლებამოსილებაც შეუწყდა. ამდენად, გამსახურდიას ასეთ გადაწყვეტილებაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლია.გამოდის, რომ გადაწყვეტილება დავითაიამ, ბაღათურიამ, თორთლაძემ, ლორთქიფანიძემ და ცაგარეიშვილმა უნდა მიიღონ. 5 კაციდან კი გადაწყვეტილება რა პრინციპით იქნება მიღებული, ძნელი სათქმელია. თუმცა, თუკი საქმე აქამდე მივა, გასაგებია, რომ ცაგარეიშვილი და ლორთქიფანიძე ბაღათურიას სასარგებლოდ მისცემენ ხმას, დავითაიას კი მხოლოდ თორთლაძე ეყოლება მხარდამჭერად.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუკი ხელისუფლებამ ბაღათურია ვიცე-სპიკერად არ დაამტკიცა, შესაძლოა, ბაღათურიას თანაფრაქციელებმა დავითაიას გადაყენება მოითხოვონ. ამ საკითხზე მათ შორის კენჭისყრის გამართვის შემთხვევაში კი ძალები, ალბათ, ბაღათურიას სასარგებლოდ დალაგდება, თუმცა, შესაძლოა, სხვა შედეგებიც დადგეს.

ახალმა ფრაქციამ პრეზენტაციის პირველივე დღეს ჯონდი ბაღათურია ვიცე-სპიკერად დაასახელა. თუმცა, ის თავდაპირველად „ქართულმა დასმა" წარადგინა ვიცე-სპიკერად და არა ახალმა ფრაქციამ. მოგვიანებით ახალი ფრაქცია შეიკრიბა და ბაღათურიას კანდიდატურა ახლადშექმნილმა ფრაქციამ დაასახელა.

ერთადერთი საარჩევნო სუბიექტი, ვისაც ვიცე-სპიკერის დასახელების უფლება აქვს, ლეიბორისტები არიან. მათ პარლამენტში 4 დეპუტატი ჰყავთ გაყვანილი და 2 წევრის დამატებისა და ფრაქციის შექმნის შემთხვევაში სპიკერატში ადგილის მოპოვება შეუძლიათ.

ლეიბორისტები პარლამენტში 3 წელია, არ დადიან. ისინი ბოიკოტის რეჟიმს სავარაუდოდ კიდევ ერთ წელს გააგრძელებენ და ვიცე-სპიკერის პოსტის გამო პარლამენტში არ შევლენ. არადა, ოთხი ლეიბორისტის პარლამენტში შესვლის შემთხვევაში, სპიკერატში ახალი კონფიგურაციის შანსი ჩნდება.

ბაღათურიას კიდევ ერთი შანსი ვიცე-სპიკერობისა იმ შემთხვევაში გაუჩნდება, თუ ლეიბორისტები პარლამენტში შევლენ და მასთან ერთად ახალ ფრაქციას შექმნიან. ეს სქემა ნაკლებად არის მოსალოდნელი, რადგან, ჯერ ერთი, ლეიბორისტები პარლამენტში შესვლაზე არ ფიქრობენ და შესვლის შემთხვევაში ამ პოსტს მაინცდამაინც ყოფილ ლეიბორისტ ბაღათურიას რატომ დაუთმობენ?

შემოდგომაზე ბაღათურიას დავითაიასთან დაპირისპირება მოუწევს. დავითაიას ამ თემაზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. ეტყობა, ის ვიცე-სპიკერის პოსტზე თავს მშვიდად გრძნობს და კუთვნილ შვებულებას აგრძელებს.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც დავითაია და ბაღათურია ერთმანეთს უპირისპირდებიან. მათ შორის უთანხმოება რამდენიმე წლის წინ მოხდა და ამის შემდეგ მათ მაინცდამაინც თბილი ურთიერთობა არ ჰქონიათ.



საპარლამენტო უმცირესობის წევრები ვარაუდობენ, რომ ბაღათურია ვიცე-სპიკერი ვერ გახდება. მათი მოსაზრებით, ბაღათურიას ეს საკითხი უმრავლესობასთან არ შეუთანხმებია, უმრავლესობის გარეშე კი ეს საქმე ვერ გადაწყდება.

უმრავლესობის პოლიტიკური ნების შემთხვევაში, ყველაფერია მოსალოდნელი. კერძოდ, შესაძლოა, რომ რეგლამენტში ცვლილებები შევიდეს და ვიცე-სპიკერის დასახელების უფლება ყველა ფრაქციას ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში ბაღათურია ვიცე-სპიკერი ახალი ფრაქციის კვოტით გახდება.

კულუარული ინფორმაციით, საპარლამენტო უმრავლესობას ახალი ფრაქციის არც ერთი წევრის ხილვა არ სურს ვიცე-სპიკერის თანამდებობაზე. გარდა იმისა, რომ მმართველ უმრავლესობას ახალი ფრაქციის შექმნა არ გაუხარდა, პარლამენტში კიდევ ერთი ვიცე-სპიკერის დამატება დამატებითი ხარჯებია — ვიცე-სპიკერს თავის აპარატი სჭირდება, ერთი მანქანა და ახალი სამუშაო კაბინეტი.

პარლამენტში სკამისთვის ბრძოლა სექტემბერში დაიწყება. დათმობს თუ არა პოსტს დავითაია და გახდება თუ არა ვიცე-სპიკერი ჯონდი ბაღათურია, ეს შემოდგომაზე გადაწყდება. პოლიტიკური დაპირისპირება ახალ ფრაქციასა და თორთლაძის ფრაქციას შორის საშემოდგომო სესიაზე მოხდება.

# თელავში კენჭს გიორგი ბოტკოველი იყრის

2 ოქტომბერს, თელავის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული წესით შუალედური არჩევნებია დანიშნული. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ექსკლუზიური ინფორმაციით, □ნაციონალური მოძრაობიდან□ არჩევნებში კენჭს გიორგი ბოტკოველი იყრის.

ბოტკოველი კონტროლის პალატის უფროსის ლევან ბეჟაშვილის კადრია. 2008 წლის 3 ნოემბრიდან ის საქართველოს კონტროლის პალატის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსად მუშაობს. მანამდე, სანამ ლევან ბეჟაშვილი



კახეთის გუბერნატორი იყო, ბოტკოველი მის მოადგილედ მუშაობდა.

2007 წელს გიორგი ბოტკოველი მუშაობდა საპრეზიდენტო პროგრამა □პატრიოტის□ საგარეჯოს ბანაკის დირექტორად; კონტროლის პალატის ვებგვერდზე განთავსებულ ბიოგრაფიაში მითითებულია, რომ 2006-2007 წლებში გიორგი ბოტკოველი იყო გარემოს დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების — გარემოს დაცვის ინსპექციის სამცხე-ჯავახეთის ბიუროს უფროსი; ასევე, 2006-2007 წლებში მუშაობდა გარემოს დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების — გარემოს დაცვის ინსპექციის კახეთის ბიუროს სწრაფი რეაგირების ჯგუფის უფროსად. გაუგებარია, გიორგი ბოტკოველი ერთი და იგივე უწყებაში ორ სხვადასხვა თანამდებობაზე, ორ სხვადასხვა რეგიონში როგორ მუშაობდა.

2005-2006 წლებში გიორგი ბოტკოველი იყო ქალაქ თბილისის გლდანი - ნაძალადევის რაიონის გამგეობის ეკონომიკური განყოფილების მთავარი სპეციალისტი; 2004-2005 წლებში მუშაობდა ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგეობის ადგილობრივი მოსაკრებლების სამსახურის უფროსად; 2002-2004 წლებში იყო შპს „ლუქს"-ის მენეჯერი.

გიორგი ბოტკოველი 1996-2001 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში, სპეციალობა — გამოყენებითი მათემატიკა, კვალიფიკაციით მათემატიკოსია.

**გიორგი ბოტკოველი:**

მე არაფერი ვიცი ამ საკითხზე. არავის შემოუთავაზებია. სურვილი მაქვს თუ არა, ეგ სხვა საკითხია. რასაც ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, ისე იქნება□.

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, სახელისუფლებო პარტიიდან არჩევნებში ბოტკოველი რომ მიიღებს მონაწილეობას, თითქმის გადაწყვეტილია, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ მას შემდეგ გამჟღავნდება, რაც კახეთის გუბერნატორი გიორგი ღვინიაშვილი შვებულებიდან გამოვა. გუბერნატორის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ღვინიაშვილს შვებულება 4 აგვისტოს ჩათვლით აქვს აღებული.

თელავის საარჩევნო ოლქში მაჟორიტარული წესით შუალედური არჩევნების გამართვის შესახებ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გადაწყვეტილება 01 აგვისტოს მიიღო. ცესკო-ს გადაწყვეტილებით, არჩევნები 2 ოქტომბერს ჩატარდება. შუალედური არჩევნები 17 თელავის საარჩევნო ოლქიდან 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარული წესით პარლამენტის წევრად არჩეული გიორგი არსენიშვილის გარდაცვალების გამო დაინიშნა. თელავის მაჟორიტარი დეპუტატი გია არსენიშვილი 2010 წლის 17 ნოემბერს, 68 წლის ასაკში, გულის შეტევით გარდაიცვალა.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# „რუსეთის ჯაშუში" ნიჟარებისგან დამზადებული ნივთებით ვაჭრობს

— აჭარაში, სოფელ ციხისძირში, იქ, სადაც ეგრისის სამეფოს ისტორიული ციხე-ქალაქის პეტრას ნანგრევებია შემორჩენილი, ყოველ დღე ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს, თუმცა, ტურისტებს, რომლებიც იქვე მდებარე ზღვის ნიჟარებისგან დამზადებული ხელნაკეთი ნივთების ღია ბაზრობასთან ჩერდებიან, წარმოდგენა არ აქვთ, რომ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ერთ-ერთი გამყიდველი „რუსეთის ჯაშუშია". ეს ადამიანი საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი მფრინავი გაბრიელ უსტალიშვილია, — ვკითხულობთ „ამერიკის ხმის" სტატიაში სათაურით „ენვერის ტრაგიკომიკური ფინალი".

როგორც ცნობილია, გაბრიელ უსტალიშვილი შს სამინისტროს გახმაურებული სპეცოპერაცია „ენვერის" ფარგლებში შარშან დააპატიმრეს. უსტალიშვილმა აღიარა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის დროს, მტერს საიდუმლო ინფორმაციას გადასცემდა, რუსეთის ჯარმა მის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ბორჯომის ხეობა გადაწვა.

— მთხოვა, გამეგო სად შეიძლებოდა დაემალათ ჩემი ესკადრილიის ვერტმფრენები. სიტუაციის ანალიზის შემდეგ, მე შევატყობინე, რომ ვერტმფრენები შეიძლებოდა ბორჯომის ხეობაში დაემალათ. საინფორმაციო გამოშვების ყურებისას დავინახე, რომ ბორჯომის ხეობის ტყეები იწვის. მე მივხდი, რომ ჩემ მიერ გაგზავნილი ინფორმაცია, მათ თავიანთ უფროსებს გადასცეს, — თავის ჩვენებაში განაცხადა უსტალიშვილმა.

უსტალიშვილი პროკურატურამ საპროცესო შეთანხმებით გაათავისუფლა. დღეს იგი ზღვის ნიჟარებით ვაჭრობს და მომხდარზე საუბარი არ სურს.

— არ მინდა მაგ თემაზე საუბარი, არ ვიძლევი ინტერვიუს, არაფერი ვიცი", - განაცხადა ყოფილმა მფრინავმა "ამერიკის ხმასთან, — საუბარში.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა ოპერაცია „ენვერის" გახსნა შარშან ოქტომბერში რუსი მზვერავის დღეს დაამთხვია. სულ 15 ადამიანი დააპატიმრეს. ექვსი საქართველოს შეიარაღებული ძალების მფრინავი იყო. ტარიელ აბაშიძეს — პრეზიდენტ სააკაშვილის პირადი მფრინავს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მან ბრალი არ აღიარა. ისმაილ აბაშიძე, ტარიელის მამა ამბობს, რომ გაბრიელ უსტალიშვილმა პირადად მოუყვა, თუ როგორ მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტრომ მისგან აღიარებითი ჩვენება. აბაშიძეს თქმით, უსტალიშვილს აღიარებითი ჩვენების მიცემა აიძულეს.

სპეცოპერაცია „ენვერს " თავიდან ბოლომდე გრიფი "საიდუმლო" ადევს. სასამართლო განხილვებმა დახურულ ვითარებაში ჩაიარა. ადვოკატებს საქმეზე საჯაროდ საუბრის უფლება არ აქვთ, თუმცა პირად საუბარში ამბობენ, რომ ასეთი თეთრი ძაფებით ნაკერი საქმე არასოდეს უნახავთ.

„ენვერის" საქმეზე ჯაშუშობისთვის გასამართლებულნი არიან: რუსლან გალოგრე ბიზნესმენი (ბრალი არ აღიარა), მიესაჯა 14 წელი, იური სკლირნიკოვი პენსიონერი (არ აღიარა) — 14 წელი, ვიაჩესლავ პლუჟნიკოვი, მფრინავი (არ აღიარა) — 13 წელი და 6 თვე, გელა კაკაბაძე მფრინავი (არ აღიარა) — 11 წელი, ტარიელ აბაშიძე, მფრინავი (არ აღიარა) — 11 წელი, გოჩა დიასამიძე მფრინავი (არ აღიარა) — 11 წელი, დავით მესხიძე, მფრინავი (არ აღიარა) 11 წელი, ედუარდ აბდულაევი, მეზღვაური (არ აღიარა) — 11 წელი, არმენ გევორქიანი (არ აღიარა) — 11 წელი, რუბენ ჩიკოიანი (არ აღიარა) — 11 წელი, ბაკურ კილურაძე, ბიზნესმენი (არ აღიარა) 9 წელი, პეტრე დევრიშაძე, ბიზნესმენი (აღიარა) მიესაჯა პირობითი, გაბრიელ უსტალიშვილი, მფრინავი (აღიარა) — გათავისუფლდა, მიხეილ კვაჭანტირაძე, მფრინავი „ითანამშრომლა შსს-თან".

**მედიანიუსი**

# სამგანზომილებიანი ქორეოგრაფია საქართველოში

ეკა ირემაშვილი

4 აგვისტოს კინოთეატრ „ამირანში“ და ბათუმის კინოთეატრში პრემიერა გაიმართება. „პინა“ — ასე ეწოდება გერმანელი რეჟისორის ვიმ ვენდერსის სამგანზომილებიან ფილმს, რომელიც პირველად ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე იქნა ნაჩვენები.

გერმანელი მოცეკვავე და ქორეოგრაფი პინა ბაუში ყველაზე უცნაური და გამაოგნებელი ქორეოგრაფიის ავტორად არის მიჩნეული. იგი წლების განმავლობაში იყო მისივე სახელობის ქორეოგრაფიული თეატრის დირექტორი ქალაქ ვუპერტალში. თანამედროვე მსოფლიო ქორეოგრაფიაში პინა ბაუში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა. ის ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში შეუდგა საბალეტო ხელოვნების დაუფლებას, გამოდიოდა საბავშვო სპექტაკლებსა და ოპერეტებში. 14 წლის ასაკში ბაუში შევიდა ესენის ფოლკვანგ შულეში სასწავლებლად, სადაც მისი მასწავლებელი ქორეოგრაფიის განმაახლებლად ცნობილი კურტ იოოსი იყო. სწავლა წარჩინებით დაასრულა სასცენო ქორეოგრაფიისა და ცეკვის პედაგოგიკის განხრით. მან მიიღო დე-ა-ა-დეს სტიპენდია,

რითაც საშუალება მიეცა, სწავლა გაეგრძელებინა ნიუ ორკის სახელგანთქმულ ჯულიარდის სკოლაში. მისი პედაგოგები იყვნენ ხოსე ლაიმონი და ენტონი ტუდორი.

პინა ბაუშმა, როგორც „ნიუ ამერიკან ბალეტის“ წევრმა ანგაჟემენტი მიიღო ნიუ-იორკის მეტროპოლიტან ოპერაში. იოოსის მიწვევით ის დაბრუნდა გერმანიაში. ამის შემდეგ იგი ფოლკვანგ-ბალეტში ცეკავდა როგორც სოლისტი და ასისტენტობას უწევდა იოოსს.

ცეკვის გერმანელმა დედოფალმა დააარსა „ცეკვის თეატრი ვუპერტალი“ — გერმანიის ეროვნული საგანძური. ისინი, ვისაც მაინცდამაინც არ უყვარდა პინა, კრიტიკულ სტატიებში წერდნენ, რომ „ყველა საგანში ფრიადოსანი იყო და ყოველთვის ყველაფერი ადვილად გამოსდიოდა“. „ეს ქალი, რომელიც არასდროს იხდის თავის უხეშ ფეხსაცმელებს, უფერული ვუპერტალის ერთადერთი ღირსშესანიშნაობაა“, წერდნენ მასზე. თავად ბაუში კი ამბობდა, „იქ სხვას ვერც ვერაფერს გააკეთებ, მხოლოდ მუშაობა შეიძლებაო“.

მომავალი მეუღლე და თანადამდგმელი, სცენოგრაფი როლფ ბერციგი ერთ-ერთ საცეკვაო სემინარზე გაიცნო. ჰყავდა საყვარელი მოცეკვავე — დომინიკ მერსი, რომლის აზრს ძალიან უფრთხილდებოდა.

პირველი „არაკლასიკური“ ბალეტი პინა ბაუშმა გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს დადგა. სულ ვუპერტალის თეატრის რეპერტუარში 16 სპექტაკლი იყო. იქ ყოველწლიურად იმართებოდა პრემიერა. მან თავის დასთან ერთად შექმნა განუმეორებელი სპექტაკლები. ყველა წარმოდგენა გაჟღენთილი იყო იმ ატმოსფეროთი და პლასტიკით, რომელ ქალაქშიც გამოდიოდა — ბუდაპეშტი, პალერმო, სტამბული, ტოკიო, ლისაბონი, ჰონკონგი, მადრიდი, რომი, ლოს ანჯელესი, სეული, ვენა.

პინა ბაუში დაჯილდოვებულია გერმანიის უმაღლესი ჯილდოთი — ჯვარი „დამსახურებისთვის“ და პრემია „ევროპა-თეატრს“, ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდო მსოფლიოში სასცენო ხელოვნებისთვის. იგი გახდა კიოტოს პრემიის ლაურეატიც.

— ყველაზე ნაკლებად მაინტერესებს, როგორ მოძრაობენ ადამიანები. საინტერესო ისაა — რა ამოძრავებთ მათ, — ასეთი იყო პინა ბაუშის მთავარი დევიზი, რომელიც ფილმის გამოსვლამდე ორი წლით ადრე გარდაიცვალა. მას გარდაცვალებამდე ერთი კვირით ადრე კიბო აღმოაჩნდა. დიდი გერმანელი ქორეოგრაფის დახურული დაკრძალვა მისმა ოჯახმა ისურვა, მხოლოდ ნათესავები, ახლო მეგობრები და რამდენიმე მოცეკვავე შეიკრიბნენ. პინა ბაუში 68 წლის ასაკში გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ პინას დასმა სეზონის ჩატარება და ყველა გასტროლის განხორციელება გადაწყვიტა.

ბერლინის 61-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე რეჟისორმა ვიმ ვენდერსმა ახალი ფილმი წარმოადგინა. ფილმი პინა ბაუშს მიეძღვნა და მარტივი სათაურიც აქვს — „პინა“. დოკუმენტური ფილმი დიდი გერმანელი რეჟისორის ყველაზე დიდ ნამუშევრად არის მიჩნეული ბოლო 20 წლის განმავლობაში. პინა აბუში სწორედ მაშინ გარდაიცვალა, როცა რეჟისორთან ერთად ვუპერტალის თეატრში ფილმზე მუშაობა უნდა დაეწყო. შედეგად სურათი მხოლოდ საცეკვაო ნომრებისა და საუკეთესო სპექტაკლების ფრაგმენტებისგან შედგება — „კაფე მიულერიდან“ დაწყებული „კურთხეულ გაზაფხულამდე“. სამი დე განზომილებაში შექმნილი ფილმი დოკუმენტური და მხატვრული კადრებით არის გაერთიანებული. ფილმში ცეკვა და სივრცე საოცრად ერწყმის ერთმანეთს. რეჟისორის აზრით, ეს კინემატოგრაფიული ბალეტია.

# ავტორთა საზოგადოებაში ცხელი ხაზი ამოქმედდება

ეკა ირემაშვილი

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციაში, საინფორმაციო ცენტრ 09-ს აქტიური მხარდაჭერით შემოდგომიდან, კერძოდ კი სექტემბრიდან, ცხელი ხაზი ამოქმედდება. იგი საშუალებას მისცემს ავტორებს, შემსრულებელს და სხვა ნებისმიერ დაინტერესებულ პირებს საავტორო უფლებების დარღვევის ნებისმიერი ფაქტის შესახებ აცნობონ ასოციაციას, მიიღონ უფასო კონსულტაცია ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ცხელ ხაზზე დაკავშირება კი უკვე პირველი სექტემბრიდან იქნება შესაძლებელი.

ამ სიახლის დოკუმენტურად დასამტკიცებლად, საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციასა და საინფორმაციო ცენტრ 09-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარემ გიგა კობალაძემ და საინფორმაციო ცენტრ 09-ს აღმასრულებელმა დირექტორმა ლაშა ლოლაძემ.

საქართველოს ავტორთა საზოგადოებამ უკვე გაუფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მემორანდუმს ხელი მოაწერეს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა და საქართველოს ავტორთა საზოგადოების თავმჯდომარემ გიგა კობალაძემ. მემორანდუმი თსუ-ის II კორპუსში იურიდული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში გაფორმდა.

მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს, იურისტ-სტუდენტთა რესურსის გამოყენებით საქართველოში საავტორო უფლებების დაცვის სწრაფი და ეფექტური მექანიზმების შემუშავება, არსებული საავტორო უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, მათი აღმოფხვრა და ამ მიზნის მისაღწევად, ერთობლივი პროექტების მომზადება და განხორციელება.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# ელისო ბოლქვაძე ქველმოქმედებაში ჩაერთო

ეკა ირემაშვილი

ქართველი პიანისტი ელისო ბოლქვაძე ქველმოქმედებაში ჩაერთო. იგი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით 6 აგვისტოს ბათუმში საქველმოქმედო კონცერტს გამართავს.

კონცერტის გამართვამდე განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ცნობილ ქართველ პიანისტს შეხვდა და საქველმოქმედო აქციაში მონაწილეობისათვის მადლობა გადაუხადა.

კონცერტიდან შემოსული თანხა სრულად ჩაირიცხება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოების ანგარიშზე და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ხელნაწერის რესტავრაციას მოხმარდება. ბევრ უნიკალურ ხელნაწერთა შორისაა მოქვის სახარებაც, რომელსაც გადაუდებელი სარესტავრაციო სამუშაოები უტარდება. უნიკალური ხელნაწერების გადასარჩენად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მილიონი ლარი გამოყო.

ღონისძიების დაწყებამდე მოეწყობა გამოფენა „ქართული ხელნაწერი“. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ცენტრში დაცული უნიკალური ხელნაწერების ზუსტი ასლები (მულაჟები), მათ შორის — ხანმეტი ლექციონარის, სინური მრავალთავის, ასტროლოგიური ტრაქტატის, მოქვის სახარების, „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ნუსხების და სხვა ხელნაწერთა ასლები.

სწორედ ამ უძველესი ძეგლების გადასარჩენად, მათი როგორც უნიკალური, ეროვნული მნიშვნელობის კოლექციის დაცვის, კვლევის ხელშეწყობისა და პოპულარიზაციისათვის შეიქმნა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოება, რომლის წევრიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა, ამავე საზოგადოების წევრია პიანისტი ელისო ბოლქვაძეც.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად საქველმოქმედო კონცერტის მხარდამჭერები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, „აირზენა“, რადიო „მუზა“ და აჭარის ტელევიზია.



ელისო ბოლქვაძის კონცერტის ჩატარებამდე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს საქართველოში იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მასაიოში კამოჰარა სტუმრობდა. საექსკურსიო მარშრუტი საგამოფენო დარბაზი იყო, სადაც სტუმარმა მიმდინარე გამოფენა „ქართული, სპარსული და ოსმალური მოხატული ისტორიული დოკუმენტები საქართველოს სიძველეთსაცავებიდან“ და მუდმივმოქმედი გამოფენა „ქართული ხელნაწერი წიგნი“ დაათვალიერა, შემეცნებითი კომპიუტერული პროგრამის საშუალებით კი ხელნაწერი წიგნის შექმნის მრავალეტაპიან პროცესს გაეცნო. სტუმარს მეგზურობას ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ბატონი ზუბა კუდავა და ამავე ცენტრის გამოფენისა და განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი ქალბატონი ირინა გოგონაია უწევდნენ.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## SMS-განცხადებები - 3090

- ქირავდება 2-ოთახიანი ბინა, გარემონტებული, ცენტრალური გათბობით, მთაწმინდაზე, კოტეტიშვილის ქუჩაზე. ფასი 300 დოლარი. ტელ.: 298-50-88; 577-30-31-96.
- იყიდება მერსედესი ც კლასი, 2.3 კომპრესორი, საუკეთესო მდგომარეობაში. ტელ.: 577-51-11-03.

## განცხადებები

- იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.
- დიდი გამოცდილების მქონე სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი-რეაბილიტოლოგი უმაღლესი შედეგებით მკურნალობს ოსტეოქონდროზს, სმენის დაქვეითებას (ნევრიტს), ოტიტს, პროსტატიტს, ცისტიტს, მასტიტს, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, სახსრების ანთებას, კიდურების დაბუჟებას, რადიკულიტს და სხვა დაავადებებს. მიღება ჩაწერით. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 10 ლარი. ტელ: 595 45-50-35; 253-44-39 ბ-ნი ლევანი.
- წონაში დაკლება დიეტისა და ვარჯიშის გარეშე, თვეში 5-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, ჰორმონალური დარღვევები, ციკლის პრობლემები, კლიმაქსური ფონის მოხსნა — ალები, შიშები, ნევროზი. მკურნალობა გარანტიით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.
- სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 2-4 სმ, 25 წლამდე, მცენარეული მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით პლუს ვარჯიშებით, ზრდის ზონების გააქტიურება, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვა, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. მკურნალობა გარანტიით. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი, ქ-ნი სალომე.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

# გიორგი დევდარიანი: „ევროშესარჩევამდე კარგი რეპეტიცია გავიარეთ“

19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩებს 11-16 ნოემბერს თურქეთში ჩაატარებს. ჩვენი გუნდი მეცხრე ჯგუფში იასპარეზებს და პოლონეთის, თურქეთისა და ლუქსემბურგის ნაკრებებს დაუპირისპირდება. შესარჩევ ტურნირში სულ 12 ჯგუფია, საიდანაც პირველ-მეორე ადგილოსნები და ერთი საუკეთესო მესამეადგილოსანი ელიტ-რაუნდში გავა და ბრძოლა 2012 წლის გაზაფხულზე გაიმართება. ელიტ რაუნდის ფინალისტი (ჯგუფების გამარჯვებულები) გუნდები კი, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ.

ჩრდილო ირლანდიიდან სამშობლოში დაბრუნდა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები გუნდი, რომელმაც მილკ კაპის გათამაშებაში მეოთხე ადგილი დაიკავა. ტურნირის შესახებ საუბრობს 19-წლამდელების მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი, რომლის ინტერვიუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

— ძალიან სასარგებლო ტურნირი იყო და კარგად მომზადებული გუნდები მონაწილეობდნენ. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ტურნირი 20-წლამდე გუნდებს შორის ტარდებოდა ანუ თამაში ასაკით ჩვენზე უფროსებთან მოგვიწია. ამ ყველაფრისა და კიდევ იმის გათვალისწინებით, რომ ნაკრების ექვსი წამყვანი ფეხბურთელი არ გვყავდა, ჩემი გადმოსახედიდან, გუნდის მიერ ნაჩვენებ შედეგს დამაკმაყოფილებლად მივიჩნევ. თანაც, რამდენიმე ისეთი ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა, რომლებიც აქამდე ნაკრების 18-კაციან სიაში არ მოიაზრებოდნენ. მათ თავი ძალიან კარგად წარმოაჩინეს და იმედი მაქვს, ნოემბრისთვის ჩვენს გუნდს გააძლიერებენ,

***— საკმაოდ კარგი დასაწყისი გქონდათ — მექსიკას მოუგეთ.***

— დაწყებით კი კარგად დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ, ზუსტად ამ ასაკობრივმა სხვაობამ იჩინა თავი. ხუთ დღეში სამი თამაში ვითამაშეთ. მგზავრობით გადაღლამაც თავისი საქმე გააკეთა და პირველ თამაშში დახარჯული ძალების აღდგენა ველარ მოვახერხეთ. ამის გამო იყო, რომ ირლანდიასთან მატჩში, ფიზიკურ ორთაბრძოლებში მეტოქემ გვაჯობა. თორემ, არც ერთ კომპონენტში არ იყვნენ ჩვენზე უკეთ მომზადებულები. რაც შეეხება ამერიკასთან თამაშს, მინდოდა, რომ ყველა იქ მყოფი ფეხბურთელისთვის მიმეცა თავის გამოჩენის შანსი. ძირითად შემადგენლობაზე რომ ვფიქრობდი, არსებული რესურსიდან გამომდინარე, მაინც ექსპერიმენტული შემადგენლობა გამოდიოდა. მიუხედავად ამისა, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ყველაზე დამაჯერებლად და კარგად ბიჭებმა ამერიკის წინააღმდეგ ითამაშეს. ორივე გოლი ჩვენების გამოუცდელობის გამო გავუშვით. ფეხ-



ბურთელების დიდი უმრავლესობა, რომლებიც იმ დღეს მოედანზე იყვნენ, პირველად თამაშობდნენ საზღვარგარეთ, მაღალი დონის საერთაშორისო ტურნირზე და ეს დაძაბულობა აშკარად ეტყობოდათ. საერთოდ, ამ ტურნირმა ბევრი რამ დამანახა. თუნდაც ის, რომ რამდენიმე ფეხბურთელი, ვისი იმედიც მქონდა, არ იყო სათანადო ფორმაში და არ გამოვრიცხავ, მათ შემცვლელად სხვა ფეხბურთელები მოვძებნოთ.

***— მაინც, რომელი რგოლის თამაშმა არ დაგაკმაყოფილათ?***

— პირდაპირ ვიტყვი, რომ უკმაყოფილო ვარ თავდასხმის ხაზით. მეკარემ, დაცვამ, ნახევარდაცვამ — ყველამ ნორმალურად წარმოაჩინა თავი, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი შეტევაზე. აშკარად გვეტყობოდა ჭანტურიას, სხირტლაძის, ყაზაიშვილისა და სამუშიას არყოფნა. ეს უკანასკნელი ზუსტად ირლანდიაში წასვლის წინ დაშავდა. სამ თამაშში, თუკი გუნდმა შეტევაში რამე გააკეთა, ეს ნახევარმცველების კარგი თამაშის ხარჯზე მოხდა. მაგალითად, პირველ თამაშში რეხვიაშვილმა შეასრულა დუბლი — ერთი ჯარიმა გაიტანა და მეორე — თამაშიდან. ირლანდიასთან კილასონიამ გამოიჩინა თავი, ამერიკასთან კი თავდამსხმელმა — ბუბა რუხაძემ შეაგდო.

***— მილკ კაპის ტრადიციული ტურნირია. იმედია, საქართველოს ნაკრებისთვის სამომავლოდაც საინტერესო და გამოსადეგი იქნება.***

— გეთანხმებით, ტრადიციული, კარგად ორგანიზებული და მაღალი დონის ტურნირია. გახსნის ცერემონიალიც ძალიან გრანდიოზული იყო. მთელ ქალაქში აღლუმი გაიმართა და ჯერ მარტო ეს საზეიმო განწყობა ამძაფრებდა და აორმაგებდა თასის მოგების სურვილს. თამაშების თვალსაზრისითაც უაღრესად საინტერესო იყო, რაც შემოდგომაზე, ევროშესარჩევში ძალიან გამოგვადგება. ამ ტურნირზე, ხუთ დღეში 3 თამაში ვითამაშეთ, ნოემბერში კი, 6 დღეში მოგვიწევს 3 მატჩის გამართვა ანუ მთელი ტურნირი ერთი ამოსუნთქვით უნდა ჩავატაროთ. მოკლედ, გათამაშების ფორმატის გათვალისწინებით, კარგი გენერალური რეპეტიცია გამოგვივიდა. ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვისაც, უაღრესად საინტერესო სამუშაო იყო, გონებრივად დაძაბული, ვინაიდან, სხვადასხვა საფეხბურთო ფილოსოფიისა და ყაიდის გუნდებთან გვიწევდა თამაში და მუდმივად გადაწყობა-გადმოწყობაზე ვმუშაობდით. თან ეს ყველაფერი ისე უნდა გაგვეკეთებინა, რომ ჩვენი სტილი და სახე არ დაგვეკარგა.

***— ნოემბრის ევროშესარჩევისთვის მზადებას როგორ აპირებთ?***

— უახლოეს დღეებში დავსახავთ მომზადების გეგმას. ძალიან კარგი იქნება, თუ ოფიციალური მატჩების დაწყებამდე, ერთი-ორ მატჩს ძლიერ გუნდებთან ვითამაშებთ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ერთხელ მაინც შევკრიბოთ ნაკრების ის ძირითადი ბირთვი, რომელსაც ევროშესარჩევზე დავეყრდნობით.

# ინგლისში ბაზრობა გაჩაღდა

„მანჩესტერ სიტი“ „არსენალს“ ფრანგი სამირ ნასრის სანაცვლოდ 22 მილიონ გირვანქა სტერლინგს სთავაზობს. არადა, ეს საქმე უკვე ყველას დასრულებული ეგონა, მაგრამ სიტის ხელმძღვანელობას ნასრის გადაბირების სურვილი არ ასვენებს და ყველაფერი თავიდან დაიწყო. თუმცა, ბრიტანული მედიის ცნობით, ეს ბოლო შეთავაზება იქნება — 24 წლის შემტევ ნახევარმცველს ბოლო წინადადებით მიმართეს — ან ახლავე მოდიხარ, ან თავს განებებთ!

„სანი“ წერს, რომ „არსენალის“ ბანაკში მღელვარებაა. როგორც არსენ ვენგერისთვის, ასევე კლუბის სხვა ხელმძღვანელებისთვის ნათელი გახდა, რომ ნასრი უკვე დაკარგულია. ისინი ფრანგ ფეხბურთელს ველარ აკავებენ და სიტელთა ეს შტურმი, შესაძლოა, მათთვის გადამწყვეტი აღმოჩნდეს. პროცესი სავარაუდოდ დაჩქარდება, რათა ნასრიმ შაბათს, “ქომუნითი შილდის“ შეხვედრაში თამაში მოასწროს. შეგახსენებთ, “ქომუნითი შილდი“ ინგლისის სუპერთასია, რომლისთვისაც წლეულს მანჩესტერული გუნდები, ჩემპიონი “იუნაიტედი“ და ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელი “სიტი“ ხვდებიან ერთმანეთს.

თუ ასე მოხდა, როგორც უკვე ინგლისში ვარაუდობენ, ამას წყალი არ გაუვა, ნასრი კვირაში 125.000 გირვანქა სტერლინგს მიიღებს. ეს მხოლოდ 10.000-ით მეტია იმ ხელფასზე, რომელსაც მას კონტრაქტის გაგრძელების შემთხვევაში “არსენალი“ შესთავაზებდა ან “მანჩესტერ იუნაიტედი“ დაუნიშნავდა, “ოლდ ტრეფორდზე“ რომ გადასულიყო.

არსენალელთა დანიელ თავდამსხმელს, 23 წლის ნიკლას ბენდტნერს კი პრემიერლიგაში დარჩენის შანსი მიეცა. ფორვარდს გასულ კვირაში ლისაბონის “სპორტინგი“ ეპატიჟებოდა და ფეხბურთელის სანაცვლოდ ჩრდილოლონდონელებს 9 მილიონ გირვანქა სტერლინგს სთავაზობდა, მაგრამ საქმეში “სტოკ სიტი“ და მისი მწვრთნელი ტონი პულისი ჩაერივნენ.

რამდენადაც “დეილი მეილისთვის“ გახდა ცნობილი, გაიგო რა სტოკელთა დაინტერესების ამბავი, ბენდტნერმა პორტუგალიაში გადასვლის საქმე შეანელა და თავის აგენტებს პულისის წინადადებაში კარგად გარკვევა სთხოვა — დანიელს პრემიერლიგაში ურჩევნია დარჩენა.

ბენდტნერს “არსენალი“ კვირაში 52.000 გირვანქას უხდის, მაგრამ ფეხბურთელი მზად არის “სტოკში“ გადასვლითა და მუდმივი სათამაშო პრაქტიკის გამო ამ ხელფასზე უარი თქვას და ნაკლებ გასამრჯელოს დაყაბულდეს.

მეორე ფეხბურთელი, რომლის შეძენასაც პულისი ვარაუდობს, “ტოტენჰემ ჰოთსპურის“ 30 წლის ფორვარდი პიტერ კრაუჩია, მაგრამ ის უკვე ასაკოვანია და იგივე ფასი ადევს.

თავის მხრივ „მანჩესტერ სიტის“□ ხელმძღვანელობა თავდამსხმელ ემანუელ ადებაიორის გასასხვისებლად ცდას არ აკლებს. „რეალისთვის“ გაკეთებული ფასდაკლებული შეთავაზებიდან რამდენიმე დღეში უკვე ახალი წინადადება გაამზადეს — ამჯერად ადებაიორს „ტოტენჰემს“ აარონ ლენონის სანაცვლოდ სთავაზობენ.

„სიტის“ თავკაცმა რობერტო მანჩინიმ უკვე განაცხადა, რომ გუნდში ლენონის ხილვა სურს. ტოტენჰემელთა მწვრთნელს კი აქამდეც არაერთგზის დაუდასტურებია, რომ თავდასხმის ხაზში მისთვის ყველაზე მისაღები ვარიანტი ემანუელ ადებაიორია.

ბრიტანული მედიის ცნობით, მოლაპარაკება უკვე დაწყებულია და სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში დადებითად გადაწყდება.

# მეტრეველი სერია ა-ს დაუბრუნდა

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და სიენას „მონტეპასკის“ კალათბურთელი ნიკა მეტრეველი მომავალ სეზონში იტალიური სერია ა-ს ბინადარ „ბანკო დი სარდინია სასარის“ ღირსებას დაიცავს. კლუბმა, რომელიც გასულ ჩემპიონატში დინამოს სახელით ასპარეზობდა, 20 წლის ქართველი კალათბურთელი ერთი სეზონით ინათხოვრა სიენური კლუბისგან, რომელთანაც ნიკას კონტრაქტი 2015 წლამდე აკავშირებს.



შეგახსენებთ, რომ მეტრეველმა გასული სეზონი რანგით დაბალ დივიზიონში, ლეგადუეში ჩაატარა და „იმობილიარე სპიგა რიმინის“ ღირსებას იცავდა. მისი მონაგარი არცთუ შთამბეჭდავი იყო — 28 მატჩში საშუალოდ 2.1 ქულასა და 1.9 მოხსნას აგროვებდა. თუმცა, გაცილებით სარგებლიანი იყო ფლეი-ოფში, სადაც „ვეროლისთან“ სერიაში საშუალოდ 8 ქულასა და 4 მოხსნას აგროვებდა.

მეტრეველი 212 სმ. სიმაღლის გახლავთ და ევროპელი სკაუტების ყურადღება ჯერ კიდევ 2004 წელს მიიპყრო, როდესაც სხვადასხვა კემპებზე ასპარეზობდა. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ყველაზე ტიტულოვანმა იტალიურმა კლუბმა „მონტეპასკიმ“ 2007 წელს მას რვაწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი სიენური კარიერა არცთუ შთამბეჭდავი გამოდგა — ჩვენებურმა ფეხი ვერ მოიკიდა მონტეპასკიში□ და ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ მისი პროფესიული ზრდა შეჩერდა. ამიტომაც იყო, რომ მონტეპასკი, ძირითადად, ნიკას დაბალი რანგის კლუბებში განათხოვრებით გახლავთ დაკავებული.

ახლა მეტრეველს, რომელიც საქართველოს ნაკრებთან ერთად მოახლოებული ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, თავის გამოჩენის მორიგი შანსი სარდინიელთა რიგებში ექნება.

ცნობისთვის, გასულ სეზონში „დინამო სასარიმ“ მეექვსე ადგილი დაიკავა, ფლეი-ოფში კი „არმანი ჯინს მილანოსთან“ 1:3 დამარცხდა.

# მზადება პირველი „ელ კლასიკოსთვის“

ესპანეთში სეზონი ელ□კლასიკოთი დაიწყება — 14 და 17 აგვისტოს „ბარსელონა“ და „რეალი“ ესპანეთის სუპერთასისთვის ორმატჩიან დუელს გამართავენ. ეს იქნება დასაწყისი და გულშემატკივარი იმედს იტოვებს, რომ ამ გუნდების დუელი მარტო სუპერთასითა და ჩემპიონატში კიდევ ორი ელ□კლასიკოთი არ დასრულდება. გუნდებს დიდი შანსი აქვთ, ერთმანეთს ესპანეთის თასზე და ჩემპიონთა ლიგაშიც გადაეყარონ.

„ბარსას“ კოტდივუარელმა ნახევარმცველმა სეიდუ კეიტამ “მარკას“ ჟურნალისტებთან საუბრისას ხაზი გაუსვა იმას, თუ რა მნიშვნელობა აქვს სეზონის მაჟორულ ნოტზე დაწყებას.

— რა თქმა უნდა, ეს არ არის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი, მაგრამ სუპერთასი ძალიან მნიშვნელოვანი ტიტულია როგორც ფეხბურთელების, ისე გულშემატკივრებისთვისაც. ამასთან, შეუძლებელია დავივიწყოთ, რომ სეზონის გამარჯვებით დაწყებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, — განაცხადა კეიტამ, რომელიც კატალონიური კლუბიდან ერთადერთია, ვინც მომავალ მატჩზე ალაპარაკდა.

მომავალ დაპირისპირებებზე ჯერჯერობით უფრო მეტს ლაპარაკობენ “რეალის“ ფეხბურთელები. იმავე “მარკას“ იკერ კასილიასმა განუცხადა, რომ სუპერთასისთვის საბრძოლველად მისი თანაგუნდელები ძალიან სერიოზულად არიან განწყობილნი:

— ჩვენ არ ვართ კომერციული ორგანიზაცია, რომელიც მხოლოდ მატერიალურ სარგებელზე ფიქრობს. მერე რა, რომ ჩინეთში ვართ? აქაც ძალიან სერიოულად შეიძლება მომზადება მომავალი დაპირისპირებებისთვის. ამჟამად ჩვენი უპირველესი ამოცანა სწორედ სუპერთასისთვის მომზადებაა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი აკვიატებულ იდეას ემსგავსება, მაგრამ ამ შეხვედრებში რაც შეიძლება კარგად გამოსვლას ვგეგმავთ. სწორედ ამიტომ არის, რომ ვარჯიშისას ძალებს არ ვზოგავთ.

მომავალ სუპერკლასიკოებზე ლაპარაკობს „რეალის“ საყრდენი ჩაბი ალონსოც. მან გამოთქვა იმედი, რომ გუნდი შეძლებს და ყველა იმ ამოცანას გადაჭრის, რაც კი ახალ საფეხბურთო სეზონში მის წინაშე დგას. ბასკი შუახაზელი კმაყოფილია თანაგუნდელებთან შეთამაშების ხარისხით.

— უკვე მეორე წელი იწყება, რაც ჩვენ ჟოზე მოურინიოს ხელმძღვანელობით ვთამაშობთ. ასე რომ, ერთმანეთს უკეთ ვიცნობთ, ვიდრე შარშან. ამჟამად კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად ვვარჯიშობთ და კონცენტრაციას სუპერთასის მატჩებზე ვცდილობთ. როცა „რეალში“ თამაშობ, უნდა იცოდე, რომ ბრძოლა ყოველი ტიტულისთვის აუცილებელია,“ — განუცხადა ფეხბურთელმა “მარკას“.

ცოტა განსხვავებულ თემებზე მსჯელობს სერხიო რამოსი. მისი ინტერვიუ ფიფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა, სადაც ჩემპიონთა ლიგის მომავალი გათამაშების ფავორიტებზე მსჯელობს. სერხიოს თქმით, ის ორ უმთავრეს კონკურენტს ხედავს, “ბარსელონასა“ და “ინტერს“. რამოსი ფიქრობს, რომ “რეალი“ შარშანდელთან შედარებით ბევრად უფრო ძლიერია, რადგან გუნდს ახალი, კვალიფიციური ფეხბურთელები ჰყავს, ლაპარაკია ფაბიო კოენტრაუზე, რაფაელ ვარანზე, ჰამით ალთინთოფზე, ნური შაჰინსა და მარია კალიეხონზე.

— „რეალში“ ახალი გუნდის ფორმირება მიდის. ამიტომ ერთმანეთთან შეჩვევა გვმართებს. ლიგის მოგების ფავორიტებზე ლაპარაკი ძალიან ნაადრევია, მაგრამ “ინტერი“ და “ბარსელონა“ მათ შორის ულაპარაკოდ იქნებიან, — აცხადებს ფეხბურთელი.

კარსმომდგარი სუპერთასის მატჩების შესახებ გუნდის “ბარსელონასთან“ ბრძოლის მზადყოფნაზე, “რეალის“ ახალწვეულებსა და ჩინეთში შეკრების შთაბეჭდილებებზე ისაუბრა კრიშტიანუ რონალდომაც.

— მოგება ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ჯერჯერობით მთელი ყურადღება მომზადებაზე გვაქვს გადატანილი. რა თქმა უნდა, “ბარსასთან“ მატჩს ოპტიმალურ ფორმაში შევხვდებით. ამჟამად ყოველდღიური ვარჯიშებით ვართ დაკავებული, — ამბობს პორტუგალიელი.

დღევანდელი „რეალის“ შარშანდელთან შედარებისას, რონალდომ განაცხადა, რომ დასკვნების გაკეთება ჯერჯერობით ადრეა.

— ამის შესახებ საუბარი მხოლოდ ახალი სეზონის დაწყების შემდეგ იქნება შესაძლებელი. გუნდი ამ ზაფხულს შესანიშნავმა ფეხბურთელებმა გააძლიერეს. სეზონი ძალიან გრძელია, წინ ბევრი მნიშვნელოვანი მატჩი გველის. დროთა განმავლობაში სხვაობა აუცილებლად გამოჩნდება, — დასძინა რონალდუმ.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბატე-ეკრანასი | 3:1 |
| პანათინაიკოსი-ოდენზე | 3:4 |
| შემროკი-კოპენჰაგენი | 0:2 |

### ჩოგბურთი

**აშშ. ვაშინგტონი. ჰაიდი**

| | |
|---|---|
| კარლოვიჩი-რასელი | 4:6;6:7 |
| ბერერი-ლორენცი | 7:5;6:1 |
| ილჰანი-ჩიპოლა | 5:7;0:6 |
| სვიტინგი-ბოგომოლოვი | 6:2;6:4 |
| ჰარისონი-ზვერევი | 6:4;1:6;6:1 |
| დიმიტროვი-სმიჩეკი | 4:6;7:6;7:6 |
| ნალბანდიანი-ბლეიკი | 2:6;4:6 |
| დევ ვარმაბი-გლევენმაიერი | 6:3;6:2 |
| ანდერსონი-გუჩიონი | 3:6;6:2;7:6 |
| ნიემინენი-კუნიცინი | 7:5;6:4 |
| ისნერი-კამკე | 6:1;6:3 |

**აშშ. სან დიეგო. ჰაიდი**

| | |
|---|---|
| კირილენკო-მარინო | 6:3;6:2 |
| ერაკოვიჩი-ვესნინა | 6:1;6:2 |
| გოვორცოვა-როდიონოვა ან. | 6:7;6:2;3:6 |
| ერანი-მირზა | 6:2;6:3 |
| ლისიცკი-არნი | 6:0;6:2 |
| ჩჟანი-სტივენსი | 4:6;2:6 |
| რადვანსკა!ა.-ბალტაჩა | 6:0;7:6 |
| ზაჰლავოვა-სჰეპერსი | 6:4;1:6;7:5 |
| გაიდისოვა-კუდრიავცევა | 3:6;2:6 |
| ზვონარევა-კრეიბასი | 6:4;7:5 |
| პეტკოვიჩი-გლატჩი | 6:3;6:4 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

კულტურა

# რუსთაველის ფონდი მეცნიერთა კვლევას დააფინანსებს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ახალგაზრდა მეცნიერებისთვის უცხოეთში სამეცნიერო-კვლევითი სტაჟირების დაფინანსებას იწყებს.

საგრანტო კონკურსი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველმა მოადგილემ კოკა სეფერთელაძემ და სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა უკვე გამოაცხადეს.

პროექტის მიზანია, დაეხმაროს ახალგაზრდა მეცნიერებს უცხოეთის წამყვან სამეცნიერო ცენტრებში პროფესიული გამოცდილების შეძენასა და საერთაშორისო საქმიანი კონტაქტების დამყარებაში, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მკვლევართა კვალიფიკაციის ამაღლებას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 40 წლამდე ასაკის საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც არიან დოქტორები, დოქტორანტები ან რეზიდენტები და ფლობენ ინგლისურ ან იმ ქვეყნის ენას, სადაც გეგმავენ სტაჟირების გავლას.

უცხოეთში სტაჟირებას სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი 15.000 ლარით დააფინანსებს. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა ელექტრონული რეგისტრაცია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ოფიციალურ ვებგვერდზე უკვე დაიწყო და ის 2 ოქტომბრამდე გაგრძელდება.

მსგავსი კონკურსი წელს უკვე მესამედ იმართება. გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, მხოლოდ გასულ წელს, საზღვარგარეთის წამყვან კვლევით დაწესებულებებში სამეცნიერო სტაჟირება 16-მა ახალგაზრდა მეცნიერმა გაიარა, მათ შორის რამდენიმე, უცხოელი პარტნიორების ინიციატივით, დღემდე აგრძელებს მუშაობას იმავე ორგანიზაციებში.

***

შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა გამოაცხადა თემატური საკონფერენციო საგრანტო კონკურსი ვაჟა-ფშაველას 150 წლისთავთან დაკავშირებით. თემატური საკონფერენციო საგრანტო კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მეცნიერულ კვლევასა და პოპულარიზაციას საერთაშორისო ან ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციის, კონგრესის, სიმპოზიუმის ან სემინარის დაფინანსების გზით. კონკურსის ფარგლებში დასაფინანსებელი კონფერენციის ჩატარება გათვალისწინებული უნდა იყოს 1 სექტემბრიდან 5 დეკემბრის ჩათვლით. ფონდიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 17.000 ლარს. პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია უკვე დაიწყო და 19 აგვისტომდე გაგრძელდება.

2011 წელი იუნესკომ ვაჟა-ფშაველას წლად გამოაცხადა. ამ იუბილეს ფარგლებში ვაჟას 150 წლის იუბილე მთელი წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით სხვადასხვა ღონისძიებებით აღინიშნება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი საზღვარგარეთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის კვლევასაც დააფინანსებს.

***

რუსთაველის ფონდმა უკვე გამოაცხადა კონკურსი ქართული ტრადიციული სამოსის კვლევაზეც. განაცხადების მიღება უკვე დასრულდა და მეცნიერთა საბჭო უკვე მათი შეფასების პროცედურებს ასრულებს. საბჭო შეაფასებს საკონკურსოდ წარდგენილ პროექტებს და საბოლოოდ გამარჯვებულსაც გამოავლენს. რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ხელმძღვანელის, სულხან სისაურის განცხადებით, ქართული სამოსი ოდითგანვე იყო საინტერესო მეცნიერული კვლევის საგანი. სულ მალე კი რუსთაველის ფონდი ორენოვან ენციკლოპედიას გამოუშვებს, რომელიც მთლიანად ქართულ სამოსს მიეძღვნება თავისი აქსესუარებითა და მორთულობებით. სულხან სისაურის განმარტებით, ქართულ და ინგლისურენოვანი ენციკლოპედია საინტერესო იქნება არა მარტო ქართველი და უცხოელი მეცნიერებისთვის, არამედ უშუალოდ ფართო საზოგადოებისთვისაც, რადგან მასში ქართული სამოსის კვლევა დაწვრილებით იქნება წარმოდგენილი.

# ავტორთა საზოგადოებაში ცხელი ხაზი ამოქმედდება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

შეხვედრას ავტორთა საზოგადოების და იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციის წევრები, სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები ესწრებოდნენ.

მემორანდუმის ფარგლებში იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები ავტორთა საზოგადოებაში სტაჟირებას გაივლიან. ავტროთა საზოგადოება და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საავტორო უფლებების დაცვის სფეროში ითანამშრომლებენ. სტაჟირების პირობები კი ახლო მომავალში დაზუსტდება.

საავტორო უფლებების დაცვის მიზნით ბათუმში საავტორო უფლებათა ასოციაციის რეგიონული ოფისი გაიხსნა. ოფიცი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ და საქპატენტის ხელმძღვანელმა ირაკლი ღვალაძემ გახსნეს. ოფისი ძველი ბათუმის ტერიტორიაზე მდებარეობს. ირაკლი ღვალაძის თქმით, ახალი რეგიონალური ოფისი ხელოვანთა საავტორო უფლებების კიდევ უფრო უკეთესად დაცვას შეუწყობს ხელს.

სპორტი

# „ზესტაფონი“ დაცვას აძლიერებს

ევროტურნირებზე მოთამაშე „ზესტაფონს“ დაცვის ხაზში პრობლემები აქვს — გიორგი ხიდეშელის მძიმედ დაშავების შემდეგ ნათელი გახდა, რომ გუნდს ახალი ცენტრალური მცველი სჭირდებოდა და საქართველოს ჩემპიონებმა ამ პრობლემის მოგვარება მალევე შეძლეს. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ „ზესტაფონის“ ღირსებას ედიკ საჯაია დაიცავს.

საჯაიას, რომელიც ერთ დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი იყო, "ზესტაფონში" 2007-დან 2009 წლამდეც აქვს ნათამაშევი, შემდეგ კი რუსეთს მიაშურა და რანგით მეორე ლიგაში ასპარეზობდა ჯერ მახაჩყალის "ანჟის", შემდეგ ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას", ბოლოს კი "ხიმკის" შემადგენლობაში.

"ზესტაფონში" თამაშისას საჯაია მუდმივად ძირითადი შემადგენლობის წევრი იყო და ფეროელთა დაცვის ცენტრში ალბათ, ახლაც მოიკიდებს ფეხს.

30 წლის საჯაიას "ზესტაფონის" საევროთასო განაცხადში შეყვანა „შტურმთან“ გუშინდელი საპასუხო მატჩის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

# არმია კიელბომით გაძლიერდა

როგორც იცით, საქართველოს ჩემპიონი „არმია“ სეზონს



ევროჩელენჯის ტურნირით დაიწყებს, სადაც ქართული გუნდი პირდაპირ ჯგუფურ ეტაპზეა დაშვებული და მისი მეტოქეები გერმანული „გოტინგენი“, ჰოლანდიური „ლიედენი“ და ევროთასის საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე წყვილში დამარცხებული გუნდი: ბელგიური „დექსია მონსი“, ან თურქული „ბეშიქთაში“ იქნებიან.

მეტოქეები საკმაოდ ძლიერები არიან და ამიტომაც „არმიის“ ხელმძღვანელობამ გუნდის ლეგიონერებით გაძლიერება განიზრახა და პირველი შევსებაც მიიღო — შვედი იოაკიმ კიელბომი.

213 სმ-ის ცენტრმა ქართულ კლუბთან ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. მისი ბოლო კლუბი „ნირჩიოპინგი“ იყო, რომელიც გასულ წელს ევროჩელენჯზე ასპარეზობდა. კიელბომის საშუალო მონაგარი 14 მატჩში კი ასეთი იყო 15,3 ქულა, 9,1 მოხსნა. ამ შედეგიანობის წყალობით, კიელბომი ევროჩელენჯის მეორე სიმბოლურ ხუთეულში შეიყვანეს.

ოდნავ მწირი იყო მისი მონაგარი შვედეთის ჩემპიონატში — 48 მატჩი საშუალოდ 14,9 ქულა და 7,8 მოხსნა. კიელბომი იქაც მეორე სიმბოლურ ხუთეულში იქნა დასახელებული.

„ნორჩიოპინგმა“ გასულ სეზონში ბალტიის თასზეც ითამაშა, სადაც კილბომის მონაგარი 20 მატჩში 14,8 ქულა და 6,4 მოხსნა იყო, ხოლო 2010 წელს კიელბომი ბალტიის თასის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

ეს სტატისტიკა იმიტომ მოვიტანეთ, რომ ხაზი გაგვესვა, თუ რა დონის კალათბურთელია კიელბომი. დაგვეთანხმებით, მისი დონის უცხოელ კალათბურთელს აქამდე საქართველოს ჩემპიონატში არ უთამაშია.

და ბოლოს: ეს არმიელთა პირველი შენაძენია, გუნდის მოთამაშე მწვრთნელის, კოტე ტუღუშის თქმით, გუნდი კიდევ 4 უცხოელი კალათბურთელით უნდა გაძლიერდეს.

მ. ჟ.

**მერაბ და ხათუნა ლევერაშვილებს**

ვულოცავთ ვაჟიშვილის,
ლუკას დაბადებას!
ვუსურვებთ ჯანმრთელობას,
დღეგრძელობას და ბედნიერებას.
პატარა ლუკას უფლის
მფარველობა არ მოჰკლებოდეს!

*„ახალი თაობა“*

ტესტი

## რა თვალით უყურებთ მომავალს



***1. ძილის წინ ფიქრობთ:***

ა. მადლობა ღმერთს, კიდევ ერთი დღე მიილია. ბ. რა სწრაფად გაირბინა დღემ. გ. ხვალ უკეთესი დღე დადგება.

***2. გამოღვიძების შემდეგ:***

ა. ავტომატურად დგებით და ჩაიდანს ადუღებთ. ბ. ცოტა ხანს კიდევ ნებივრობთ. გ. ყოჩაღად დგებით, სიმღერ-სიმღერით იბანთ პირს და სამსახურისკენ მიიჩქარით.

***3. სარკეში ჩახედვისას ფიქრობთ:***

ა. ძველი სილამაზის კვალიც არ დარჩა. ბ. ფორმას თუ შევინარჩუნებ, კიდევ არა მიჭირს რა. გ. რა კარგად გამოვიყურები.

***4. დაქალმა შემოგჩივლათ, რომ საფულე მოჰპარეს:***

ა. მეც სულ რაღაც მემართება. ბ. კარგია, მე რომ არ დამემართა ეს. გ. ფული სხვადასხვა ადგილას უნდა შეინახო.

***5. თავს სხვებს რომ ადარებთ, ამჩნევთ, რომ:***

ა. არ გაფასებენ. ბ. სხვებისგან არაფრით განსხვავდებით. გ. სხვებზე კარგი ვარ, დიდი ამბავი, თუ ამას ვერ ამჩნევენ.

***6. თუ რამე ცუდი დაგემართათ:***

ა. სულ მე უნდა დამემართოს რაღაც. ბ. რა ვქნა? გ. რაც გინდა მოხდეს, საქმე უკეთესად წავა.

***7. ხანდახან წარსულ ცხოვრებაზე რომ ფიქრობთ, ამბობთ:***

ა. ცუდი ჭარბობდა. ბ. კარგი ჭარბობდა. დ. ყველაფერი კარგად იყო და ასე გაგრძელდება.

**შეაფასეთ ა-9, ბ-1, გ-2**

**პასუხები**

**0-2 ქულა:** ყველაფერს მუქი სათვალით უყურებთ, უკვე შეეჩვიეთ აზრს, რომ ბედი არ გწყალობთ და ამით ამაყობთ კიდეც, სხვებს აცოდებთ თავს. სინამდვილეში ასე სულაც არ არის საქმე.

**3-6 ქულა:** ოპტიმისტურად უყურებთ მომავალს, მაგრამ თუ პრობლემა წამოიჭრა, გადაჭრა გიჭირთ. ასეთ შემთხვევებში ფარხმალს ყრით.

**7-10 ქულა:** ბედნიერი ადამიანი ხართ, რადგან სიცოცხლე გიხარიათ, პრობლემებს მშვიდად ხვდებით და მაშინვე იწყებთ მათ ანალიზს.

**11-14 ქულა:** იმდენად გიხარიათ არსებობა, რომ საერთოდ ვერ ამჩნევთ რაიმე პრობლემას, ხართ ოპტიმისტი, ადვილად ივიწყებთ პრობლემებს, მიგაჩნიათ, რომ ყველაფერი თავად მოგვარდება.

გ.თ.

## იუმორი



— ნებისმიერი ქალი გამოცანაა, წინასწარ ვერ მიხვდები, რამდენი დაგიჯდება...

***

— ფორთოხალი გინდა?

— არა.

— კანი რომ გავაცალო?

— მაშინ კი.

***

— ცოლთან კამათი ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით გადაფურთხების ტოლფასია და რაც ყველაზე საინტერესოა, რომელი მიმართულებაც გინდა აირჩიე, მაინც ქარის საწინააღმდეგოდ გამოვა...

***

— ეწევი?

— დიახ.

— მერე არ იცი, რომ თამბაქოს წევა სიცოცხლეს ორჯერ ამოკლებს? რამდენი წლის ხარ?

— 30-ის.

— არადა, შეგეძლო 60-ისა ყოფილიყავი...

***

— გარშემო მხოლოდ პაიკები თუ გახვევია, ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ დედოფალი ხარ...

გ.თ.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სოფლის პოლიციის უფროსი ძველად; 2. აფრიკული შხამიანი ბუზი; 3. ძმებ ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი; 4. ნიშა კედელში, სადაც საწოლია გამართული; 6. სპორტის სათამაშო სახეობა; 9. უწყინარი ხასიათის მსუბუქი დაცინვა; 13. ტყის კაცი ქართულ მითოლოგიაში; 14. საღამოს სადილი; 15. მფრინავი ძუძუმწოვარა ცხოველი; 17. ვერცხლით დაფარული დანა-ჩანგალი; 18. ფანტასტიკური ჟანრის ფრანგი მწერალი; 20. რბილი საჯდომიანი ტაბურეტი.

**თარაზულად:** 1. შინაური კურდღელი; 5. სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი ზღვის დაბალი, თხელწყლიანი ნაპირი; 7. მოხარშული კვერცხის გულიანი ხაჭაპური; 8. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 10. ძვირფასი სარეწაო თევზი; 11. ზმნის წარსული დრო გრამატიკაში; 12. ამერიკული სიგარეტი; 16. ფულის ერთეული აზერბაიჯანში; 17. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 19. ძვირფასი ლითონი; 31. იტალიის ნაკრებისა და იუვენტუსის ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 22. შინაურ ცხოველთა კისერზე შებმული ჟღარუნა; 23. ფირმის წარმოების ვალებისა და ვალდებულებათა ერთობლიობა; 24. დაქირავებული მკვლელი.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. იორდანია; 2. რამლი; 3. ბრუკლინი; 4. ხორუმი; 7. სქური; 9. ერატო; 12. არმსტრონგი; 14. შირაქი; 15. ისტმენი; 17. ფორნებუ; 20. პირლო.

**თარაზულად:** 5. პოტომაკი; 6. ბარცინო; 8. ქულბაქი; 10. კარაბინი; 11. ფიგარო; 13. გეიზერი; 16. ფონეტიკა; 18. კოქტო; 19. ატენი; 21. აიაქსი; 22. ენდშპილი; 23. ათაბაგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჰეტმანი; 2. ფაგი; 3. ვერფი; 4. ჩხეიძე; 6. ჟურფიქსი; 9. სუნამო; 13. არქტიკა; 14. მურტალო; 15. ცუკუბა; 17. პეტრა; 18. კარნე; 20. ყუმი.

**თარაზულად:** 1. ჰეფნერი; 5. კრიჟი; 7. ბერმუხა; 8. ტიგრისი; 10. ბრერა; 11. ფორდი; 12. თუნუქი; 16. ტუნისი; 17. პოსკო; 19. ქედა; 21. მულინე; 22. არიანი; 23. მაკაბი; 24. ლოპოტი.

# ვილნიუსის მერმა ქუჩაში წესების დარღვევით გაჩერებული მანქანა გაჭყლიტა

ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსის ადმინისტრაციის საიტზე გამოჩნდა ვიდეოჩანაწერი, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ იბრძვის ქალაქის მერი არტურას ზუოკასი ავტომობილის არასწორი პარკირების, მაკ ედლუნდის თქმით, ვილნიუსი ამ ვიდეოკადრებში თანამედროვე, კეთილგანწყობილ და სიურპრიზებით ალსავსე ქალაქად წარმოგვიდგება.

თავად მერმა კი განაცხა-




ბის წინააღმდეგ — ველოსიპედისტებისათვის გათვალისწინებულ ბილიკზე

გაჩერებულ ავტომობილს მან ჯავშანტრანსპორტიორით გადაუარა.

— აი, რა მოხდება, თუკი არასწორად გააჩერებთ მანქანას, — განაცხადა ზუოკასმა, რომელიც თავად თავგამოდებული ველოსიპედისტია.

გაჭყლეტილი „მერსედესის" მფლობელი კადრში მოგვიანებით ჩნდება, ავტოევაკუატორით მისი ავტომობილის წაღების შემდეგ.

ვიდეორგოლი გასულ კვირას გადაიღეს პოპულარული შვედური სატელევიზიო შოუს, 099 რამ, რაც აუცილებლად უნდა ნახოთ სიკვდილამდე" — ფარგლებში.

შვედური შოუს წამყვანის, და, რომ მისი თანამდებობის ადამიანს იუმორის გრძნობა აუცილებლად უნდა ჰქონდეს და ვიდეორგოლის გადაღება ქალაქში მანქანის არასწორად პარკირების წინააღმდეგ ბრძოლის კარგ მეთოდად მიიჩნია.

მიმომხილველების თქმით, ვილნიუსისათვის ავტომობილის არასწორად პარკირება დიდ პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ ქალაქის ცენტრში მანქანის გაჩერება სასტიკად აკრძალულია.

ლიტვის დედაქალაქის მერი ვილნიუსის მოსახლეობას მოუწოდებს ველოდიპედებზე გადასხდნენ, ქალაქსი ველოსიპედების გაქირავების სხვადასხვა სქემები აამოქმედა გარდა ამისა, ველოსიპედებისათვის გზებზე სპეციალური ბილიკები მონიშნა.

# ბავშვს შეიძლება სკაიპი დაარქვან

მედიცინის ისტორიაში პირველად ექიმებმა ქალი კომპიუტერული პროგრამის „სკაიპის" საშუალებით ამშობიარეს.

24 წლის როსანა მანტეროლა და მისი მეუღლე ქმარ-



თან ერთად ქალაქგარეთ მდებარე სახლში ისვენებდნენ. რვა თვის ორსულმა ქალმა მოულოდნლად წყალი დაღვარა და მშობიარობა დაეწყო.

ეს შემთხვევა მექსიკაში, ქალაქ ლეონის მახლობლად მოხდა. უახლოესი საავადმყოფო ორი საათის სავალზე მდებარეობდა, ამიტომ როსანას ქმარმა სასწრაფოს გამოუძახა, მანამდე კი ექიმებმა ცოლქმარს „სკაიპით" დაკავშირება შესთავაზეს.

ამგვარად, ვიდეოარხით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ქმარი უშუალოდ მონაწილეობდა მშობიარობაში.

სასწრაფო დახმარების მოსვლის მომენტისათვის მშობიარობა უკვე დასრულებული იყო. როსანა მანტეროლას ვაჟი შეეძინა. ბავშვი 3.2 კგ-ს იწონის, ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და თავს კარგად გრძნობს.

მშობლებს შვილისათვის ჯერ სახელი არ დაურქმევიათ, თუმცა მისი დაბადების უცნაური გარემოებების გათვალისწიებით ერთ-ერთ ვარიანტად ბავშვისათვის სკაიპის დარქმევასაც ვარაუდობენ.

# სამგლოვიარო განცხადებები

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოლეგას, ნანა ჩიკვატიას დედის

**ლამარა ჩიკვატიას**

გარდაცვალების გამო.

ქალბატონი ლამარა მთელი ცხოვრება ემსახურებოდა ახალგაზრდობის აღზრდას სოფელ ოტობაიაში, რომელიც დღეს ოკუპირებულია. ინტელიგენტური ქართული ოჯახის შვილი ქვეყნის სიყვარულსა და ეროვნულ სულისკვეთებას უნერგავდა მოსწავლე ახალგაზრდობას, რომელიც ომიანობის ჟამს სკოლისგან მიღებული განწყობით იდგა ქვეყნის დასაცავად.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# „ინტერნეტ ექსპლორერის" მომხმარებლებს ინტელექტის ყველაზე დაბალი კოეფიციენტი ჰქონიათ

მათ, ვინც ბრაუზერ „ინტერნეტ ექსპლორერით" სარგებლობს, ინტელექტის საშუალოზე დაბალი კოეფიციენტი (აი ქიუ) აქვთ. ყოველ შემთხვევაში, ასე ამტკიცებენ კონსალთინგური ფირმის „ეპტიქუანტის" მკვლევრები.

ისინი ინტერნეტის მომხმარებლებს ინტელექტის კოეფიციენტის განსაზღვრის ტესტს სთავაზობდნენ, ხოლო შედეგებს ინტერნეტ ბრაუზერის მოხმარების ნიშნით აჯგუფებდნენ.

„ინტერნეტ ექსპლორერის" მომხმარებელთა აიქიუ კოეფიციენტი საშუალოდ უფრო დაბალი აღმოჩნდა იმ მომხმარებლების კოეფიციენტთან შედარებით, რომლებიც „ქრომით", „ფაიაფოქსით", „საფარით" სარგებლობდნენ. ყველაზე მაღალი კოეფიციენტი „კამინოს" და „ოპერას" მომხმარებლებს აღმოაჩნდათ.




ამ შედეგების გამოქვეყნებამ „ინტერნეტ ექსპლორერის" მომხრეების მრისხანება გამოიწვია, რომლებიც „ეპტიქუანტს" სასამართლოთი დაემუქრნენ.

ექსპერიმენტში ინტერნეტის 100 ათასამდე მომხმარებელი მონაწილეობდა. შედეგები მონაცემთა ბაზაში მოაგროვეს, ქსელის მომხმარებლის ვებ-ბრაუზერის ინფორმაციასთან ერთად.

მოპოვებული შედეგების თანახმად, „ინტერნეტ ექსპლორერის" მომხმარებელთა კოეფიციენტი 80-ს უახლოვდებოდა, „ქრომის", „ფაიაფოქსის" და „საფარის" მომხმარებლებმა 100-ზე მეტი ქულა დააგროვეს, ხოლო ონლაინ უმცირესობამ, რომლებიც „ოპერას" და „კამინოს" ბრაუზერებით სარგებლობს, საუკეთესო შედეგი აჩვენა — 120-ზე მეტი.

„ეპტიქუანტი" აღნიშნავს, რომ ვებ-ბრაუზერ „ინტერნეტ ექსპლორერის" გამოყენება არ ნიშნავს იმას, რომ მის მომხმარებელს ინტელექტის დაბალი კოეფიციენტი აქვს. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ დაბალი ინტელექტის მქონე ადამიანები უმეტესწილად „ინტერნეტ ექსპლორერით" სარგებლობენ.

აღსანიშნავია, რომ ამ შედეგებს ყველა ექსპერტი არ იზიარებს. მათი აზრით, კოეფიციენტი 80-ის მინიმალური ოდენობაა, რომელიც თანამედროვე სამყაროში არსებობისათვის არის საჭირო და „ინტერნეტ ექსპლორერის" მომხმარებლებისათვის იგი უბრალოდ შეურაცხმყოფელია.

თუმცა, „ეპტიქუანტის" მესვეურებს სასამართლო სარჩელებისა არ ეშინიათ. მათი თქმით, სასამართლოში გამარჯვება მხოლოდ და მხოლოდ დაადასტურებს მათ შედეგებს და მეტ წონას შესძენს მათ".

# ფარაონ ტუტანჰამონსა და ევროპელი მამაკაცების ნახევარს საერთო კავკასიელი წინაპარი ჰყოლიათ

როგორც ირკვევა, დასავლეთ ევროპის მოსახლეობის მამრობითი სქესის წარმომადგენლების დაახლოებით ნახევარი, ბრიტანეთში კი მამაკაცების თითქმის 70% ეგვიპტის ფარაონის ტუტანჰამონის შორეული



ნათესავი ან შთამომავალია.

ამ დასკვნამდე შვეიცარიული კვლევითი ცენტრის „აი-ჯი-ი-ენ-ი-ეის" ის მკვლევართა ჯგუფი მივიდა, რომლებმაც მუმიფიცირებული ნაშთების დნმ ნიმუშები შეისწავლეს.

ფარაონ ტუტანამონის, აგრეთვე მისი წინაპრების, ექნატონის და ამენჰოტეპ III-ის დნმ-ის ნიმუშების ანალიზის საფუძველზე გენეტიკოსებმა დაადგინეს, რომ ისინი იმ გენეტიკური პროფილის მქონე ჯგუფს განეკუთვნებიან, რომლის შემადგენლობაში ევროპის მამაკაცების დაახლოებით 50% პროცენტი მოხვდა.

ამ ჰაპლოჯგუფს პირობით „პი1-სიგმა1-ა2 უწოდეს. გარდა 3000 ათასი წლის წინანდელი ეგვიპტის მმართველებისა, ამ ჯგუფს განეკუთვნებიან აგრეთვე ესპანელების დაახლოებით 70 და ფრანგების 60%.

აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფს განეკუთვნება თანამედროვე ეგვიპტელების მხოლოდ 1%. მეცნიერების აზრით, ეს შედეგი მიანიშნებს, რომ თანამედროვე ევროპელებსა და ფარაონებს საერთო წინაპარი ჰყავდათ. შვეიცარიელი მკვლევრების აზრით, მათთვის მოულოდნელი იყო ის, რომ ფარაონების გენეტიკური ნივთიერება სწორედ თანამედროვე ევროპელების მონათესავე აღმოჩნდა, რადგან ეგვიპტეში უამრავი ჰაპლოჯგუფი არსებობს.

მეცნიერების ვარაუდით, დაახლოებით 9.5 ათასი წლის წინ თანამედროვე ევროპელებისა და ფარაონის წინაპარი კავკასიაში ცხოვრობდა.

შვეიცარიელი მკვლევრების აზრით, „პი1-სიგმა1-ა2" ჯგუფის წევრების განსახლება თანამედროვე ევროპის ტერიტორიაზე დაახლოებით 9 ათასი წლის წინ დაიწყო, სოფლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად.

ამავდროულად, მათ უჭირთ პასუხის გაცემა შეკითხვაზე, თუ როგორ მოხდა ფარაონ ტუტანჰამონის მამრობითი წინაპარი ძველ ეგვიპტეში.

ამ გამოკვლევის შედეგებმა მეცნიერების წინაშე ახალი ამოცანა დასვეს — უფრო ზუსტი დნმ ანალიზის საფუძველზე მათ უნდა დაადგინონ, თუ ვინ შეიძლება განეკუთვნებოდეს ლეგენდარული ფარაონის უფრო ახლობელი „ნათესავების" ჯგუფს.

# დიკაპრიო „ფორბსის" ყველაზე შემოსავლიანი ვარსკვლავების რეიტინგის ლიდერია

ამერიკულმა ჟურნალმა ფორბსმა ჰოლივუდის ყველაზე მაღალანაზღაურებადი ვარსკვლავების მორიგი სია გამოაქვეყნა.

რეიტინგში პირველი ადგილი მსახიობმა ლეონარდო დიკაპრიომ დაიკავა, რომელმაც გასული წლის მაისიდან მიმდინარე წლის მაისამდე თავისი როლებისათვის 77 მილიონი დოლარი მიიღო.

შემოსავლის მეტი ნაწილი დიკაპრიოს ფილმებში „დაწყევლილთა კუნძული" და „დასაწყისი" შესრულებულმა როლებმა მოუტანეს. ხოლო მომავალში ეკრანებზე გამოვა მორიგი ფილმი მისი მონაწილეობით „ჰუვერი", სადაც დიკაპრიო გფბ-ს ლეგენდარული ხელმძღვანელის როლს ითამაშებს.

ფილმის გადაღებას რეჟისორი კლინტ ისტვუდი აპირებს.

გარდა ამისა, დიკაპრიო მთავარ როლს ითამაშებს ფილმში „დიდი გეთსბი", რომლის გადაღებასაც რეჟისორი ბაზ ლურმანი აპირებს. ბუნებრივია, ფილმის სცენარს საფუძვლად დაედება ფრენსის სკოტ ფიცჯერალდის იმავე სახელწოდების ნაწარმოები.

რეიტინგში მეორე ადგილზე გავიდა მსახიობი ჯონი დეპი, რომელმაც 50 მილიონი დოლარი მოაგროვა. მისი შემოსავლის მეტი ნაწილი „კარიბის ზღვის მეკობრეებში" კაპიტან ჯეკ ბეღურას როლმა განაპირობა.

ლიდერთა სამეულში აღმოჩნდა მსახიობი ადამ სენდლერი, რომელმაც ცოტა ხნის წინ ჯენიფერ ენისტონთან და ნიკოლ კიდმანთან ერთად ფილმში „ჩემს ცოლად მოიკატუნეთ თავი" ითამაშა. მისმა შემოსავალმა 40 მილიონი დოლარი შეადგინა.

შენდლერს 36 მილიონი დოლარით უილ სმითი და ტომ ჰენკსი მოსდევენ. ამ უკანასკნელმა მულტფილმების სერიაში „სათამაშოების ისტორია" კოვბოი ვუდის გახმოვანებით 35 მილიონი დოლარი მიიღო.

ჟურნალ ფორბსის მიერ 2011 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობების რეიტინგის პირველი ათეული ასე გამოიყურება.

ლეონარდო დიკაპრიო — 77 მილიონი, ჯონი დეპი — 50 მილიონი, ადამ სენდლერი — 77 მილიონი, უილ სმითი — 36 მილიონი, ტომ ჰენკსი — 35 მილიონი, ბენ სტილერი — 34 მილიონი, რობერტ დაუნი უმცროსი — 31 მილიონი, მარკ უოლბერგი — 28 მილიონი, ტიმ ალენი — 22 მილიონი, ტომ კრუზი — 22 მილიონი, ჯიმ კერი — 20 მილიონი, დენიელ კრეიგი — 20 მილიონი, რობერტ პატისონი — 20 მილიონი, ბრედ პიტი — 20 მილიონი, მეთ დეიმონი — 18 მილიონი.

*მოამზადა გენადი თვაურმა*

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 4 აგვისტო**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "რომი, იმპერიის აღმავლობა და დაცემა" **08.30** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **09.00** სათავგად. ფილმი **"მეფე სოლომონის საბადოები"** **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"** **17.00** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **18.00** მედინფო **18.30** ჩვენი ფერმა **19.05** დოკ. ფილმი **"300** სპარტელის უკანასკნელი შერკინება" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** **ფეხბურთი**. ევროპის ლიგა. მესამე საკვ. ეტაპი: "დინამო" (თბილისი) – რეიკიავიკი **23.00** სი ბემოლი **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"როგორ მოვიშოროთ თაყვანისმცემელი 10 დღეში"** (18) **03.05** მოამბე **03.25** მხ. ფილმი **"შიშის ფასი"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **20.00** მხ. ფილმი **"სტეფორდელი ცოლები"** **01.00** მხ. ფილმი **"მწვრთნელი კარტერი"**

**08.00** კურიერი **08.30** ან. ფ. "ტრანსფორმერები" **08.40** ან. ფ. "ეშმაკური ლიგა" **09.00** სერ. **"მაშველები"** **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** ქართ. ფილმი **"როცა აყვავდა ნუში"** **14.30** კიტანოს ციხესიმაგრე **15.40** ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **19.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **22.00** პროფილი (გან.) **00.00** მხ. ფილმი **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.05** ან. ფილმი "ელ ტიგრეს თავგადასავალი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.45** ქრონიკა **09.15** საბ. სერ. "გმირები **2"** **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ბოიარის ციხესიმაგრე **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში 2"** **00.00** რემონტი (გან.) **00.45** მხ. ფ. **"შეხვედრა ვამპირთან"** (15) (ბ. პიტი) (სუბტ.) **03.20** მხ. ფილმი **"დრაკონის გზა"** (ბ. ლი) (სუბტ.) **05.15** მხ. ფილმი **"პრინცესა მუხუდოს მარცვალზე"** (კ. ბარნეტი) (სუბტ.)

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** სერ. **"პოლიციელთა ამბები"** **17.00** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **00.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **02.00** ფარული კამერა **02.30** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.30** დოკ. ფ. "ქალაქის ხედები" **10.40** სცენა **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"სინდისის საკითხი"** **12.50, 19.35** სერ. **"მეგობრები"** **15.15** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.00** სცენა **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება**

**08.30** "დიდ ხარ შენ უფალო" **09.05** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** პერსპექტივა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"გაზაფხული გადის"** **13.20** კონცერტი – ქალაქური მელოდიები **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"განძი"** **17.05** დოკ. ფ. "ველური ბუნება" **17.30** დოკ. ფილმი "ვარძია" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** "დიდ ხარ შენ უფალო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ისინი ჩამოვიდნენ მთიდან"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** გამოყენებითი ხელოვნება **22.20** დოკ. ფილმი "დიდი ანდრიას ნაკვალევზე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. ფილმი **"ბურთი და მოედანი"** **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** კონცერტი – ტონი ბენეტი

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


**4 აგვისტო**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 1,6688

ევრო — 2,3929

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6721

რუსული რუბლი — 0,0598

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 27-35, ღამით — 17-21

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-2§, ღამით — 1§-21

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 2§-28, ღამით — 13-14

**ამინდის პროგნოზი 4 აგვისტოსთვის**





# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი **ფასი: 69 თეთრი**

## გუმბათი

„რა სასწაული იხილა ნუგზარ კვაშალმა ლიკანში“

ნანული სარაჯიშვილი: „ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა, მოხუცთა თავშესაფარი ავაშენო“

იმედა კახიანმა მე-8 საუკუნის საყდარი აღადგინა





## კლინსმანი: განვითარება დიდი ნაბიჯებით

ამერიკის ფეხბურთის ფედერაციამ, ნაკრების მთავარი მწვრთნელი მაიკლ ბრედლი რომ გაათავისუფლა, უკვე ვწერდით. მის ნაცვლად კი ყველასთვის კარგად ნაცნობი იურგენ კლინსმანი დანიშნა და ახალი მწვრთნელის რანგში ჟურნალისტებსაც წარუდგინა.




სახელოვანმა გერმანელმა ფეხბურთელმა დასძინა, რომ ის ამერიკის ნაკრების სრულიად ახალ დონეზე ასაყვანად ძალებს არ დაიშურებს.

— ჩემი მიზანია, ვიაროთ წინ დიდ ნაბიჯებით. მინდა ნაკრების ყველა წევრს დავეხმარო, რომ სულ სხვა დონეზე ათამაშდნენ. რამდენიმე თვე დამჭირდება იმისთვის, რომ ნაკრების კანდიდატების თამაში გავაანალიზო და მივხვდე, ვინ და რამდენად შეეფერება ჩვენს გუნდს. პროგრესი, რაც ბოლო ათი წლის განმავლობაში ამ ქვეყნის ფეხბურთმა განიცადა, არ შეჩერდება, — განაცხადა კლინსმანმა, რომელიც გერმანიის ნაკრებში მუშაობისას საკმაოდ კარგად წარმოჩნდა. თუმცა მის სამწვრთნელო კვალიფიკაციაში სპეციალისტებს ეჭვი „ბაიერნში“ რამდენიმეთვიანი მუშაობის შემდეგ შეეპარათ.

მ. ჟ.

## კეიტ მოსს ბიუსტჰალტერი ხელს უშლის



საქორწილო ცერემონიალით გადაღლილი კეით მოსი სან ტროპეზში ისვენებს. 37 წლის მოდელმა კიდევ ერთხელ მოახდინა თავისი გამხდარი სხეულის დემონსტრირება. ეს მისი ბუნებრივი მონაცემია და მას არ უწევს თავის დატანჯვა სხვადასხვა დიეტით. ქეითი მდიდრული იახტიდან ხმელთაშუა ზღვაში წელზემოთ გაშიშვლებული გადაეშვა.

## კამერონ დიასი კულტურისტს დაემსგავსა



როცა ქალის საყვარელი მამაკაცი მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენია, ისიც ძალაუნებურად ფიზკულტურის მოყვარული ხდება. ასე მოხდა კამერონ დიასის შემთხვევაშიც - მაშინ, როცა ვარსკვლავს ჯასტინ ტიმბერლეიკთან ჰქონდა რომანი, კამერონი თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს შოპინგებსა და წვეულებებს უთმობდა, ახლა კი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ხანი დაჰყოს სპორტდარბაზში. ამის მიზეზი მსახიობის რომანია ალექს როდრიგესთან, რომელსაც სატრფო ვარჯიშზე პირადად დაჰყავს და მის სპორტულ აქტივობასაც მკაცრად აკონტროლებს. შედეგად დიასმა ნამდვილი კულტურისტის ტანი დაიყენა და კუნთებს ისე ათამაშებს, ბევრს შეშურდება.

## მაიკლ დუგლასი ჩუმად სიგარეტს ეწევა

ჯერ მხოლოდ შვიდი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ჰოლივუდის ვარსკვლავ მაიკლ დუგლასს მედიკოსებმა ყელის კიბოს



დიაგნოზი დაუსვეს. ეს ამბავი შოკისმომგვრელი აღმოჩნდა როგორც მსახიობის ოჯახის წევრებისთვის, ისე მისი მეგობრებისა და მთელი კინოსამყაროსთვის. დუგლასს ქიმიოთერაპიის კურსი დაუნიშნეს. მის ჯანმრთელობის მდგომარეობას მკაცრად ადევნებდა თვალყურს მზრუნველი მეუღლე, კეტრინ ზეტა ჯონსი. საბრალო ქალზე იმდენად იმოქმედა მაიკლის ავადმყოფობამ, რომ ბოლოს ფსიქიატრიულ კლინიკაში მოხვდა, საბედნიეროდ - მცირე ხნით. შვიდი თვის წინ მაიკლ დუგლასმა ქიმიოთერაპიის კურსი დაამთავრა და, როგორც ექიმები ირწმუნებიან, მის ჯანმრთელობას საფრთხე აღარ ემუქრება. მსახიობმა კიბო დაამარცხა და გათავხედდა - იტალიურ რივიერაზე საკუთარ იახტაზე პაპარაცებმა დუგლასს ფოტო იმ დროს გადაუღეს, როცა ის სიგარეტს აბოლებდა და ძალზე ნასიამოვნები გამომეტყველება ჰქონდა.

## მუბარაქი სასამართლოში საკაცით მიიყვანეს და გალიაში მოათავსეს



ეგვიპტის ყოფილი პრეზიდენტი, ჰოსნი მუბარაქი, სასამართლოში საკაცეზე მწოლიარე მიიყვანეს. მის დასაცავად უპრეცედენტო ზომები იქნა მიღებული. შარმ ელ შეიხიდან ის სამხედრო ვერტმფრენით გადმოაფრინეს. სასამართლოს შენობას ეკლიანი მავთულხლართი და ასეულობით პოლიციელი იცავდა. თავად მუბარაქი, სასამართლოს დარბაზში, ფოლადის გალიაში მოათავსეს. თუ მას ბრალდება დაუმტკიცდა, სასიკვდილო განაჩენი ელის. არაბულ სამყაროში პრეზიდენტის გასამართლება უპრეცედენტო შემთხვევაა. თუ არ ჩავთვლით სადამ ჰუსეინს, რომელიც ამერიკელებმა შეიპყრეს და მისი გასამართლებაც უშუალოდ მათთან კონსულტაციით მოხდა.

## თერჯოლის რაიონში საგნებს ცეცხლი უმიზეზოდ ეკიდება



რა ხდება რობაქიძეებისა და ჭანკვეტაძეების სახლებში, არავინ იცის. საგნებს ცეცხლი ისე ეკიდება, რომ ამას არავითარი წინაპირობა არ უდევს საფუძვლად. ცეცხლის ეს უცნაური კერები თერჯოლის რაიონში ჩნდება როგორც დღისით, ასევე ღამის საათებში. საიდუმლო ვერავინ ამოხსნა. დენის სადენები წესრიგშია, ასევე ყველა დანადგარი, რამაც შეიძლება ხანძარი გააჩინოს.


ATB.GE


## ასტროპროგნოზი 4 აგვისტოსთვის

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** — რისკი არ არის გამართლებული, საქმე მშვიდად განაგრძეთ. **კირჩხიბი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლომი** — ყველა საქმე გამოგდით, იაქტიურეთ. **ქალწული** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** — ახალი იმიჯი მოირგეთ და ისე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, ახალი სამსახური მოგეწონებათ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **მერწყული** — გელით სიურპრიზი, გახარებული ხართ. **თევზები** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, არ გადაიღალოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფრანგ პარტიზანთა სახელწოდება მეორე მსოფლიო ომის დროს; 2. სცენის გასანათებელი მოწყობილობა თეატრში; 3. ვირტუოზი ესპანელი მევიოლინე; 4. ელექტრონული მუსიკალური ინსტრუმენტების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 7. სერბი ფიზიკოსი, გამომგონებელი ელექტროტექნიკის დარგში; 9. შაქრის წარმოების ცენტრი საქართველოში; 12. ორთქმავლის გამომგონებელი ინგლისელი მექანიკოსი; 14. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 15. უმაღლესი სათათბირო ორგანო, სამეფო საბჭო ფეოდალურ საქართველოში; 17. ულტრა-ნაციონალური ორგანიზაცია პალესტინაში; 20. თითებზე ჩამოსაცმელი თოჯინა.

**თარაზულად:** 5. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 6. ობიექტურად არსებული სინამდვილე; 8. გამოქვაბულებში, ნაპრალებში, მიწისქვეშეთში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესი; 10. უბანი თბილისში; 11. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი კინომსახიობი; 13. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო სამხედრო გემი; 16. ღვინის წარმოების ცენტრი ყირიმში; 18. დელაკრუას ცნობილი ფერწერული ტილო; 19. რადიაქტიური ქიმიური ელემენტი; 21. რაიონული ცენტრი მცხეთა-მთიანეთში; 22. ათკაპიკიანი მონეტის ძველი სახელწოდება; 23. ფრანგი კომედიოგრაფის მოლიერის ნამდვილი გვარი.

*შეადგინა თ. გოგინაშვილმა*

